№ 2889
ხუთშაბათი,
18 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 2889
ხუთშაბათი,
18 აგვისტო

გაზეთის ფასი: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ელენე იოანნეს ასული მოსულიშვილისა და მეუღლე მისი კონსტანტინე ლუკას ძე მოსულიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის დაუვიწყარის და ძვირფასის მამისას, ხოლო მეორის სიმამრისას

მღვდელ იოანნე ნარეკლიშვილისას

ქ. თელავში პანაშვიდი ყოველ დღე დილით და საღამოთი, გარდაცვალებულს გაასვენებენ 18 აგვისტოს სასულიეროსასწავლებლის ეკკლესიაში და იქიდან ს. კურდღელაურის კავთის ეკკლესიაში დასაკრძალავად. (2—322—2)

მადლობას ვუცხადებ ყველა იმ პირთ, რომელთაც წერილობით თუ დეპეშებით სამძიმარი და თანაგრძნობა გამომიცხადეს საყვარელის დის **ეფროსინე კონსტანტინეს ასულის შატბერაშვილის** უდროოდ გარდაცვალებაზედ. დარია გიორგის ასული ნებალოძე (1—220—1)

თედორე ლევანის ძე კალანდარიშვილი და მეუღლე მისი ანნა ლაზარეს ასული უგულითადეს მადლობას სწირავენ იმ პირთ, რომელნიც შეეწივნენ მათ გაჭირვებულ მდგომარეობაში და სიტყვით, წერილით თუ დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადეს **მატრონას და სონიას** უდროოთ დაკარგვისა გამო. (1—1)

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული

დრამატიული კურსები

ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი 3 წლისაა. საგნები, რომელსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და საცენო ხელოვნება სომხურ, **ქართულ** და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაიწყება.

მიღება 20 ავგვისტოდან ყოველ დღე 12-დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. **კურსებთან არსებობს სცენა.**

(20—319—2) კურსების დამაარსებელი ს. მ. დოლუხანოვისა

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგება საჭიროა, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მაღალი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **ამაზე ნაკლებ ფასებში დაინიშნოს, რასაც იაფ გაყიდვის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უეჭველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს იაფიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—83)

წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელში თავისუფალი მასწავლებლის ალაგია. ვისაც სურვილი აქვს ემსახუროს ამ ერთად-ერთს ქართულს სამეურნეო სკოლას წრფელის გულით და სიყვარულით სამშობლოსი, უნდა იყოს გამოცდილი პედაგოგი, განვითარებულ ქართულ ენაში და სხვა საგნებში.

ამ სკოლას, თავის წესდებით, აქვს სარგებლობისაგან უფლება, ექვსი წლის განმავლობაში, ყველა სამოსწავლო საგანი, პროგრამაში ნაჩვენები, მოსწავლეთ ქართულად ასწავლოს; რუსული ენა კი სუფევს, როგორც საგანი.

ვისაც სურვილი აქვს მიიღოს ეს ალაგი, იმან უნდა მიმართოს ქ. ტფილისში, მზრუნველს და დამაარსებელს ამ სკოლისას, ილია იოანეს ძე წინამძღვარიშვილს, ტფილისის ნოტარიუსს.

მასწავლებელს ექმნება სადგომათ ორი ოთახი, თავის აივნით, შეშა, ნავთი და სამოცი თუმანი ჯამაგირი წელიწადში.

სკოლა განაგრძობს სწავლას პირველ სექტემბრიდან ამა წლისა, საცა მიიღებიან მოსწავლეთ ჯანმრთელნი და კარგი ყოფაქცევის ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა. (ნ. 3—3)

ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების „შრომა"-ს საბჭო ამით აცხადებს, რომ სწავლა **საზოგადოების სამეურნეო სკოლაში** განახლდება პირველ სექტემბრიდან ამა მდგომარე წლისა. ამა სასწავლო წელს გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო, ე. ი. პანსიონერზე ასოცდაათი მანეთი (130 მ.) და მოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანეთი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა დაიწეროს სკოლის გამგის სახელზე. ფოსტის ადრესი: Секретарю Совѣта Общества „Шрома" I. К. Такайшвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ городъ Кутаисъ. Контора нотаріуса Анджапаридзе. (7—4)

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მთავრობა ამით აცხადებს ვისადმი ჯერ არს, რომ შემდეგ კლასებში გადასაყვანი ეგზამენები ამა სასწავლებელში იქნება: მოსამზადებელ კლასების მოსწავლებისა—21—24 აგვისტოს, პირველისა და მეორე კლასების მოსწავლებისა 25—17 აგვისტოს, მესამე კლასის მოსწავლებისა 1—8 ენკენისთვეს იმ პროგრამით, რომელიც აქვთ მათ გავლილი 27 იანვრამდი; ხოლო მეოთხე კლასის მოსწავლების ეგზამენები დაიწყება 16 და გათავდება 20 აგვისტოს. (2—კვ.—2)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის სექტემბრის 18-ს, კვირას, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა საზოგადო საგანგებო კრება.

კრების განსახილველია შემდეგი საგნები:

1. გამგე კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის ამხანაგის და წევრების არჩევანი.
2. სათავად-აზნაურო გიმნაზიისა და ახალის შენობისათვის, სარევიზიო კომისიების წევრთა არჩევანი.
3. საკითხი გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ.

და 4. სხვა და სხვა საკითხები. (ნ. 4—1)

ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების

„შრომა"-ს

საბჭო ამით აცხადებს, რომ, რადგან 31 გასულ ივლისს არ შესდგა ამ საზოგადოების წევრთა კრება, ხელ ახალი კრება დანიშნულია კვირას, 21 აგვისტოსთვის, საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზე ქ. ქუთაისში, ქალაქის საბჭოს დარბაზში, განსახილავად წლიურ ანგარიშებისა და სხვა და სხვა კითხვების გადასაწყვეტად შესახებ საზოგადოების სკოლის საჭიროებისა, და სთხოვს როგორც წევრთ, ისე ყველას, ვისაც აინტერესებს გაგება საზოგადოების მოქმედებისა ამ პირველის ერთი წლის განმავლობაში, დაესწრონ აღნიშნულ კრებას. (5—2)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 15.

ექიმი

გ. ა. ბედალიანი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდროვის ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—ნ.—19)

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სვამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—3)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკომიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
16 აგვისტო.

მოჯი, 16 აგვისტო. („დეილი ტელეგ.") ჩრდილოეთ ამერიკიდან დაბრუნებული ოფიცერი იუწყება, ხერიონის დაჭერის დღიდან მრავალი შეტაკება მოხდა, რამაც ორივე მხარეს მოუტანა ზარალი. ბევრი მამაცური დაზვერა მოხდა. ონჯიონსა, სეიჯიონსა და ხერიონში რუსებს მცირე რაზმები ჰყავს, 50-დან 80-მდე კაზაკი სულით. კვანჩუნის რუსების წინა რაზმები 5 ათასი კაციდან შესდგება; ესენი ახლოს დგანან იაპონელებთან. მანჯურიიდან დაბრუნებული ოფიცრები ამბობენ, რუსების მთავარი ძალები ფენგუაში დგანანო. ნიუკოში გენერალი მიშჩენკო დგას და ახლოსაა იაპონიის ჯართან. ორ-ორი არმია რკინის გზის ორივე მხრივ დგანან. მთავარი თავ-მოსაყრელი ადგილი სიპინგანია, საცა აგებს ძლიერი სიმაგრეები ბაკატიენის მაღლობებზე. ჩინჩიანსა და ტრანს შორის კაზაკების ორი დივიზია დგას. დიდ-ძალი სათადარიგო ჯარი დგას ლინევიჩის მთავარ სადგომს იქით, გუანცოენის ახლოს.

პეტერბურგი. შემდეგს სხდომაზე კომურა შეთანხმების ახალს ბაზას წარუდგენს ვიტტეს; ეს ბაზა, საერთო აზრით, უზრუნველჰყოფს ზავს; იგი დამყარებულია ტოკიოდან მოსულ უკანასკნელ ინსტრუქციებზე. ამბობენ, პეტერბურგს აცნობეს, რომ იაპონია უარს ამბობს კონტრიბუციის მიღებაზეო.

ბერლინი. „ანცაიგერ"-ს აუწყებენ ნიუ-იორკიდან: უკანასკნელის ცნობებით რუზველტმა თითქმის სრულიად დაჰკარგა იმედი ზავის ჩამოგდებაზე, ვინაიდან ამაო გამოდგა მისი ცდა აეძულებინა. ნეიტრალური სახელმწიფოები, შეერთებულის ძალით გავლენა მოეხდინათ მებრძოლებზე.

პორტ-სმუტი, 16 აგვისტო. კონფერენციის სხდომა დაიწყო დღეს დილის ათის საათის შემდეგ („ასსოსიეტედ პრესს").

პორტ-სმუტი, 16 აგვისტო. კონფერენცია სრულიად შეთანხმდა ყველა საკითხებში და დაადგინა, შეუდგეს ხელ-შეკრულობის შედგენას. იაპონელებმა მიიღეს რუსეთის ულტიმატუმი, სახელდობრ: უარი სთქვეს კონტრიბუციის მოთხოვნაზე, დაეთანხმენ, დაუთმონ ნახევარი სახალინი უსაზღაუროდ. დაუთმეს იარაღ-აყრილ გემების საკითხისა და რუსების საზღვაო ძალების განსაზღვრის შესახებ შორეულ-აღმოსავლეთში. დროებით ზავი, ალბად, ჩამოვარდა კიდეც.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 15 აგვისტოს თარიღით: „ჩვენმა რაზმმა, რომელიც ერდაგოუსკენ იყო გაგზავნილი, მტერთან შეტაკების დროს, ტყვედ წამოიყვანა 116 იაპონელი. ჩვენ დავკარგეთ 6 კაცი".

ვარშავა, 16 აგვისტო. ნოვომინის მაზრაში, საითკენაც პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფი ქურდები იგზავნებიან ხოლმე, მოძრაობა დაიწყო გლეხებს შორის ამ ქურდების წინააღმდეგ: გლეხებმა ვითომ გმინში ერთობა მოახდინეს და გადასწყვიტეს წინადადება მისცენ ქურდებს ან პატიოსან ცხოვრებას მოჰკიდონ ხელი, ანა არა სიკვდილი მათთვის აუცილებელია. შეტაკება მოხდა. მოჰკლეს 11 ქურდი, დასჭრეს რამდენიმე ათი. ამბობენ, ქურდებმა გარშავისა და სხვ. ადგილებიდან გამოიწვიეს დასახმარებლად ამხანაგები, რომელნიც ჩამოვიდნენ შეიარაღებულნი ჯავრის ამოსაყრელად. გაიგეს თუ არა ეს, რამდენიმე გმინის გლეხობა შეიარაღდა ცელებით და გაილაშქრეს ქურდების ამოსახოცად. მაზრაში მცხოვრებნი [illegible] გაიქცნენ. „ვარშავ. დნევნიკ"-ის სიტყვით სრულიად არაა მართალი პოლონეთისა და საზღვარ გარეთის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები, ვითომც მწერალ სენკევიჩისთვის წინადადება მიეცეს ადმინისტრაციას ვარშავიდან, წადიო.

პარიზი, 16 აგვისტო. გუშინ დილით ტყვია დაიცა კრონიემ, შაქრის ქარხნების დირექტორმა სუში. დეფიციტი რამდენიმე მილიონია. ზარალი, უმეტესად, ლონდონსა და ჰამბურგს მოუვა.

ადესა. ფრანგების ბულვარზე, ბეკერის აგარაკზე ბომბამ იფეთქა. მძიმედ დაიჭრა აგარაკის პატრონი ქალი და მისი ორი შვილი.

მინსკი. მინსკის გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებანი გამოსცა 3 დეკემბრის უმაღლესის ბრძანებისამებრ. გაძლიერებულ დაცვის დებულება არ ვრცელდება მინსკზე.

პეტერბურგი. გაირჩა საკასაციო საჩივარი დაპპესი, ჰალპერინისა და ფიალკოსი, რომელთაც ადესის სამხედრო სასამართლომ ასაფეთქებელ ნივთიერებათა მომზადებისათვის 20-სა და 30 წლის კატორღა გადაუწყვიტა; გაირჩა აგრეთვე პროტესტი პროკურორისა, რომელიც ამათის ჩამოხრჩობას თხოულობდა. ადესის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალა და დაპპესა და ჰალპერინს 15 წლამდე შეუმცირეს დასჯა, ფიალკოს კი ათამდე.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 16 აგვისტო. დღეს სორმოვის ქარხნებში მუშების მიღება დაიწყო. მუშებს ახალი დაფასება შემოუღეს.

მოსკოვი. ზოოლოგიურ ბაღში იხსნება სრულიად რუსეთის მეფუტკრეობის გამოფენა. გუბერნატორმა მისწერა სამაზრო ერობებს, დაუყოვნებლივ შეუდგეთ ამომრჩეველთა სიის შედგენასო.

ვილნო, 16 აგვისტო. რადგანაც მობილიზაცია გამოცხადდა, ამიტომ გუბერნატორმა მცხოვრებთ მიჰმართა, დამშვიდდით და განაგრძეთ თქვენი მუშაობა და ნუ შეჰყოყმანდებით ქუჩებშიო. ყოველი ცდა არეულობის მოხდენის შესახებ იარაღით იქნება ჩაქრობილიო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
18 აგვისტო

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. „ნიუ-იორკ ტაიმს"-მა დაბეჭდა ცნობა, რომ რუს-ტყვეებს შორის იაპონიაში სერიოზული არეულობაა, რომელიც იაპონელების განკარგულებამ გამოიწვია მათთვის იარაღის ტარების აკრძალვის შესახებაო. რამდენიმე შეტაკება მოხდა. კორესპონდენტი იუწყება, რომ რუსეთი საგანგებო ნოტას დაუგზავნის ამის შესახებ სახელმწიფოებსო.

პორტ-სმუტი, 15 აგვისტო. დიდ ავტორიტეტიანმა იაპონელმა განაცხადა, რომ ის ხმა, ვითომც იაპონელები წინადადებას მისცემენ რუსებს, ზავი ჩამოვარდეს არავითარი საზღაური არ გვინდა ისეო, ისე სათუო არ არის, როგორც პირველ შეხედვით გვგონებიათ. შესაძლებელია, რომ იაპონია არ მოითხოვს ნივთიერ საზღაურს, რადგანაც მისთვის ყველაზე მაღლა იაპონიის ხალხის ზნეობრივი კეთილდღეობა დგასო.—კონფერენცია, ტაკახირას თხოვნით, გადადებულ იქნა ოთხშაბათისთვის. ამ ცნობას კარგი პირი უჩანს ზავის სასარგებლოდ. იაპონელები ამბობენ, ტოკიოდან ახალი ინსტრუქციები მივიღეთო. მაგრამ უარს ამბობენ მათის შინაარსის გამოქვეყნებაზე, რადგანაც არაა ეს საბოლოო გადაწყვეტილებაო. კომურა და ვიტტე ამბობენ, მდგომარეობა ძლიერ გართულებულიაო. ამბობენ, კომურას ახალი ინსტრუქციები მოუვიდა, საცა ახალი დათმობაა რუსებისთვის და ხელშეკრულობის ახალი რედაქცია, რომლის მიღება შეუძლია რუსეთს თავისი პატივის შეუბღალავადო.

ლონდონი, 16 აგვისტო. პორტ-სმუტიდან მოსული დეპეშა იუწყება, ზავი შეიკრაო. (სააგენტოს შენიშვნა: ეს ხმა ჯერ არ მტკიცდება ოფიციალურად).

პორტ-სმუტი, 15 აგვისტო. იაპონელები გადაკვრით ამბობენ, რომ ისინი დაუთმობენ კიდევ რუსებს, მაგრამ თვითონ-კი არ იქნებიან კმაყოფილი.

პორტ-სმუტი, 16 აგვისტო. გუშინ მოვიდა პორტ-სმუტში ვანდერლიპი როკფელერის წარმომადგენელი. ამბობენ, ის მოვიდა ვიტტესთან საფინანსო საქმეების შესახებ, რომელზედაც ჰკიდია ზავის ჩამოგდებაო.

მოსკოვი, 16 აგვისტო. მოვიდა 32 მატროსი „ოლეგი"-სა, „ავრორა"-სა და „ჟემჩუგ"-იდან. მათ მანილაში ექიმობდნენ და კმაყოფილიც არიან ამერიკელების მოვლით.

პეტერბურგი. ხელმწიფეს წარუდგნენ პეტერგოფში ურალისა და თურგაის ოლქთა ყირგიზები.

სიმფეროპოლი. სევასტოპოლში დაიწყო „გიორგი პობედონოსეც"-ის მატროსების საქმის გარჩევა. საქმე თვითონ ჯავშნოსანზე ირჩევა. ბრალდებული 78, მოწმე 100.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მოლაპარაკება ზავზე. თუ პორტ-სმუტიდან მიღებულ დეპეშას დავუჯერებთ, ზავზე მოლაპარაკება სრულის შეთანხმებით დასრულებულა. შეიძლება ეს ცნობა სწორე იყოს, მაგრამ ჯერ ოფიციალურს, ან ახალ დეპეშებს მაინც უნდა მოუცადოთ. მაგრამ ახალ დეპეშების მიღებამდეც შეიძლება იმის თქმა, რომ ცნობა რუსეთის ულტიმატუმზე (?) ნამდვილად ტყუილი უნდა იყოს; საეჭვოა აგრეთვე ის ცნობაც, ვითომ იაპონიას სახალინის ნახევარი უსასყიდლოდ დაებრუნებინოს რუსეთისათვის. ბოლოს რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთ ოთხ მუხლში მოსდიოდათ უთანხმოება. თუ დეპეშას დავუჯერებთ, ოთხსავე მუხლში იაპონიას დაუთმია და რუსეთს-კი არც ერთში. ეს დასაჯერებელი არაა. როგორც ვიცით, თითქმის ერთი კვირა სრულდება, რაც იაპონიამ ორ მუხლში დაუთმო რუსეთს: ნეიტრალურ პორტებში იარაღ-აყრილ გემებსა და რუსეთის ფლოტის შეზღუდვაზე წყნარ ოკეანეში ხელი აიღო. უნდა ვიფიქროთ, რომ, ალბად, ეხლა დანარჩენ ორ მუხლში საზღაურის გადახდასა და სახალინის საქმეში—რუსეთმა დაუთმო იაპონიას და შერიგებაც ამიტომ მოხდა. მაინც დეპეშამაც გვაცნობა, ამერიკელ მილიარდერ როკფელერის წარმომადგენელი პორტ-სმუტში მივიდა ვიტტესთან საფინანსო საქმეებზე მოსალაპარაკებლად, რადგან ამ საფინანსო საქმეებზეა დამოკიდებული ზავის ჩამოგდებაო. („ო. ნ.").

მოვიცადოთ, ვნახოთ რა ამბებს მოგვიტანენ ახალი დეპეშები, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსულ გაზეთებისა და უცხოელი კორესპონდენტები რამდენისამე დღის წინადვე იუწყებოდნენ, რუსეთი სთანხმდება იაპონიის პირობას სახალინსა და საზღაურის გადახდაზე და ამიტომ, შეიძლება, მალე შერიგება მოხდესო.

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი 7 აგვისტოს თარიღით იუწყებოდა პორტსმუტიდან: აქ ხმა დადის, პეტერბურგიდან ბძანება მოუვიდათ რუსეთის რწმუნებულთ, იაპონიის ბეჯითი მოთხოვნილება კონტრიბუციასა და სახალინის შესახებ მიიღეთო.

იგივე კორესპონდენტი იუწყება 10 აგვისტოს თარიღით: დღეს ყველა გაზეთს ზავის იმედი მიეცა. ზოგიერთი გაზეთი ჰფიქრობს, შეიძლება, რამდენსამე დღის შემდეგ ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულობასაო. ევროპიდანა და პეტერბურგიდან მიღებულ დეპეშებიდან სჩანს, რომ პეტერბურგსა და ტოკიოში რაღაცა მოხდა. ზოგიერთი ცნობა, პეტერბურგიდან მიღებული, ჰმოწმობს, რომ პეტერბურგში ზავის გუნებაზე მოსულანო.

„სლოვო"-ს კორესპონდენტი 10 აგვისტოს თარიღით იწერებოდა პორტსმუტიდან: ვინც კარგად იცნობს რუზველტს, ყველანი ირწმუნებიან, რუზველტი ისეთი კაცი არაა, რომ ტყუილ-უბრალოდ გაერიოს საქმეში, მეტადრე ისეთ დიდ საქმეში, როგორიც ზავია. ეჭვი არაა, რომ პრეზიდენტი საქმეს ბეჯითად გაუძღვება ბოლომდე. მთელი ამერიკა დაუჭერს მხარს პრეზიდენტს, თუ იმისი მეცადინეობა ზავის სასარგებლოდ გამარჯვებით არ დასრულდება და მთელი ბრალი იმას დაედება, ვინც უფრო დიდ კერპობას გამოიჩენს... იაპონელებმა შეატყობინეს პრეზიდენტს: იარაღ-აყრილ გემებსა და რუსეთის ფლოტის შეზღუდვაზე ხელი აგვიღიაო... ბ. ვიტტე ამბობს: რაც-კი შეიძლებოდა, დავათმობინე იაპონელებს; ამაზე მეტს ვერავინ დაათმობინებდა. ეხლა რიგი პეტერბურგზე მიდგა, იქ უნდა მიჰხვდნენ, რომ ეხლა რუსეთმა უნდა დაუთმოს იაპონიას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკის ხალხი იწყენს ჩვენს კერპობას... ბ. ვიტტეს შეუჩივლია კორესპონდენტისათვის: მე განსაზღვრული ინსტრუქცია მაქვს და უპეტერბურგოდ ბევრი რისამე გარიგება როდი შემიძლიან. რამდენადაც შემიძლიან ვცდილობ, მაგრამ იქიდან ერთი და იგივე პასუხი მომდის: „არც ერთი ჩაჩქნა ადგილი არ დაუთმოთ, არც ერთი გროში ფული არ მისცეთო".

ეტყობა, პეტერბურგის მთავრობას ბოლოს შეუსმენია ბ. ვიტტეს რჩევა და იაპონიისათვის დაუთმია, თორემ უამისოდ შერიგება შეუძლებელი იქნებოდა. აქვე კიდევ ერთხელ უნდა შევნიშნოთ, რომ ცნობა რუსეთის ულტიმატუმზე ტყუილი უნდა იყოს: იაპონია არას დროს არც მიიღებდა, არც შეუშინდებოდა რუსეთის ულტიმატუმს. („ნ. დ.").

იაპონურ გაზეთის აზრი ზავზე. იაპონური გავლენიანი გაზ. „კოკუმინ"-ი სწერს: „ბ. ვიტტეს სხვა გზა არა აქვს, უსათუოდ ზავი უნდა შეჰკრას იაპონიასთან. თუ ზავი არ იქნება, არც ვიტტე იქნება. ზავი ერთად ერთი ხსნაა რუსეთისათვის და თითონ ბ. ვიტეს-თვისაც. („რ. ს.").

რუსის გემის დაჭერა. ტოკიოდან ატყობინებენ „ვოლფის სააგენტოს": კამჩატკისაკენ გაგზავნილ ესკადრის უფროსი იუწყება: 31 ივლისს პეტროპავლოვსკის ნავთსადგურში რუსის სატრანსპორტო გემი „ავსტრალია" ჩავიგდეთ ხელშიო. („რ. ს.").

ტყვე რუსის წერილი. ერთ ახალგაზრდა რუსის მეზღვაურს, მიჩმანს დელივრონს კრეისერ „ნახიმოვ"-ზე ცუსიმას ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია, დაჭრილა, იაპონელებს ტყვედ ჩაჰვარდნია და ქალ. კოკურადან შემდეგი წერილი მოუწერია თავის მამის—ადმირალისათვის:

„საყვარელო მამავ, აქამდე ვერა მოგწერე რა, რადგან ხელების ხმარება არ შემეძლო

ეხლა, მადლობა ღმერთს, ვრჩები, ბრძოლის ამბავს არ მოგწერ; სჯობია, შეხვედრის დროს გიამბო. ჩემ გვერდით, სულ ორ ნაბიჯზე, ყუმბარა გასკდა და დამკრა; ასე მგონია, რომ სასწაულმა გადამარჩინა ცოცხალი. ყუმბარა რომ გასკდა, დამაყრუვა და გონება დამიკარგა, მაგრამ დიდის ხნით-კი არა; როცა გონს მოველ, ჩემს გარშემო კვამლი იდგა. არტილერიის კვარტირმეისტერი ორად გაგლეჯილი ზედ დამეცა და ალბად იმან დამიფარა ყუმბარის დიდის ნატეხებისაგან. პატარა ნატეხები მრავალი მომხვდა, მაგრამ საბედნიეროდ ძვალი არსად გამიტეხა. მარცხენა ხელში ორმა ნატეხმა გამირბინა და კანთან გაჩერდა. კიდევ ათიოდე ნატეხი მომხვდა იმავ ხელში, მარჯვენა ხელში დიდი ნატეხი მომხვდა; თუმცა ნატეხს ძალა ჰქონოდა დაკარგული, მაინც ძვალამდე მიაღწია; როცა ექიმებმა გამოიღეს, ზონდით ურაკუნებდნენ ძვალსა. მარჯვენა ფეხში ერთი ნატეხი კოჭში მომხვდა და კუთამდე აირბინა, სამი ნატეხი ბარძაყში მომხვდა, თავშიაც რამდენიმე ნატეხმა დამსკრა, მაგრამ ესენი ადვილად გამოიღეს. მთელ ზურგსა და მარცხენა ფეხზე ყუმბარის ნატეხები საფანტივით შემომაყარა ბრძოლის დროს თეთრი კიტელი მეცვა და სულ გამიწითლდა სისხლისაგან.

აქ საავადმყოფოში ოპერაცია გამიკეთეს და ძლიერ კარგადაც გამიკეთეს. სამ ადგილას გამიჭრეს და მას აქეთ იარები მირჩება. მარცხენა ხელიდანა და მარცხენა საფეთქლიდან მაშინ გამომჭრიან ყუმბარის ნატეხებს, როცა სხვა ჭრილობები მომირჩება და ცოტა მოვღონიერდები. მარჯვენა ხელის თითებს კიდევ ცუდად ვხმარობ და ხელიც ჰკანკალებს. მარჯვენა ფეხის დადგმა ჯერ არ შემიძლიან.

იაპონიაში მეტად კარგი ექიმები ყოფილან, უნდა იცოდე, რა რთულ ოპერაციებს აკეთებენ აქა და რამდენი ისეთი კაცი წამოაყენეს ფეხზე, რომელიც თავის დღეში ფიქრადაც ვერ იფიქრებდა, რომ როდისმე ფეხზე სიარულს შეიძლებდა. ნეტავ ჩვენმა მოწყალების დათ ისწავლონ იაპონელ დებისაგან, თუ როგორ უნდა მოვლა ავადმყოფების. ჩემს დღეში ვერ ვიფიქრებდი, რომ ისეთის ყურადღებით შეიძლებოდა სნეულთა მოვლა, როგორც აქაური დები უვლიან. ოპერაციის შემდეგ არც დღე მშორდებოდნენ, არც ღამე. მარტო დედას შეუძლიან ასეთი მოვლა. უნდა იცოდე, რა საშინელი ჭრილობა აქვს ზოგსა: ზოგიერთი ყარს დაჩირქი სდის. აქაური დები არ ერიდებიან, თითონ ჰბანენ იარებს და არა სანიტარები, როგორც ჩვენში. ზოგიერთი დაჭრილი წინად რუსის წითელ ჯვრის საავადმყოფოშიაც ყოფილა. ისინი ამბობენ, რომ რუსის მოწყალების დანი მხოლოდ წამალს მისცემენ დაჭრილს და მაშინვე მიდიანო. აქ ყველანი დიდის მადლობით უყურებენ იაპონელ დებს და ყველანი ჩემსავით ამბობენ, რომ ეს სწორედ ანგელოზები ყოფილან და არა მოწყალების დანიო. იაპონელები ყველანიც დიდის ყურადღებით გვეკიდებიან. იაპონელი აფიცრები ხშირად მოდიან ჩვენ სანახავად და ყველას ენახებათ დაჭრილები. მე ინგლისური წიგნება მომცეს წასაკითხად, რომ არ მოვიწყინო. დღეს პირველად ვცადე ყავარჯენით სიარული, მაგრამ ჯერ სუსტად ვარ და უფრო მეტს ვზივარ, ან ვწევარ.

სასიამოვნოა ამისთანა კეთილშობილ მტრის ყოლა, როგორიც იაპონელები არიან. ბრძოლაში ძლიერ მამაცები არიან, ტყვეებს კარგად ექცევიან, ყველაფერს აძლევენ, რისაც მიცემა შეიძლება და ივიწყებენ, რომ ამას წინად ამ ტყვეების მტრები იყვნენ. ეს წერილი „ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდე. და ყველამ გაიგოს ჩვენში სიმართლე და არ დაიჯეროს სხვა და სხვა სულელური ცნობა, ვითომ იაპონელები ცუდად ექცეოდნენ ტყვეებს; ამ წერილის დაბეჭდვით ყველა ტყვეს ნათესავებსაც დაამშვიდებ“.

მაინც ეს წერილი „ნოვოე ვრემია“-შია დაბეჭდილი. ეს გაზეთი ხშირად ჰბეჭდავდა ვიღაც კორესპონდენტების წერილებს ტყვე რუსების ვითომ საცოდავ მდგომარეობაზე და ამტკიცებდა, ვითომ იაპონელები ცუდად ექცევიან ტყვე რუსებსაო. უცხოელი კორესპონდენტები და ტყვე რუსები-კი ერთხმად ამტკიცებდნენ, იაპონელები სამაგალითოდ ექცევიან ტყვეებსაო. ამას წინად ტყვეობიდან დაბრუნებულ რუს ექიმსაც ეთქვა „ბირჟ. ვედ.“-ის თანამშრომლისათვის: სულ ტყუილია ის ცნობები, ვითომ იაპონელები ცუდად ექცეოდნენ ტყვე რუსებსაო; ამ ცნობებს, ალბად, ვიღაცა განგებ ჰთხზავს რაიმე აზრით, თორემ ნამდვილად იაპონელები ისე ექცევიან ტყვე რუსებს, რომ უკეთესად აღარ შეიძლებაო. და აი ეხლა თითონ „ნოვოე ვრემია“-ში დაიბეჭდა ისეთი წერილი, რომლიდანაც ცხადად სჩანს, რომ იაპონელები ნამდვილი კაცური კაცები და იმათი მოწყალების დანი ნამდვილი ანგელოზები ყოფილან.

იაპონიის პრესა. „რუსკო სლოვო“-ს კორესპონდენტი ბ. ჩერნიხოვსკი სწერს: იაპონიის პრესას დიდი ძალა აქვს. იაპონელ ჟურნალისტებსა და მკითხველ საზოგადოებას შუა არავითარი ზღუდე არ არსებობს. ჟურნალისტები თავისუფლად სწერენ ყველაფერს, რასაც მოინდომებენ, მკითხველები თავისუფლად ჰკითხულობენ ყველაფერს, რაც-კი ეინტერესებათ, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მოუვათ ხოლმე ჟურნალისტებს უმაღლესი დარიგება, ამა და ამ საგანს ნუ შეეხებითო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჟურნალისტებს ჩვეულებრივ მხოლოდ ორ საგანზე: სამხედრო საქმეებსა და საგარეო პოლიტიკაზე აუკრძალავენ ხოლმე დროებით წერას. იაპონიაში პრესის სრული და გონივრული თავისუფლებაა.

ორიოდე სიტყვა რუსულ ენის სწავლებაზე სახალხო სკოლაში

ქვემოდ ვბეჭდავთ ი. გოგებაშვილის წერილს იმის შესახებ, თუ როდის უნდა იწყებოდეს რუსული ენის სწავლება სასოფლო და საქალაქო დაბალ სკოლებში. არ შეგვიძლია პატივცემულ პედაგოგის წერილს ორიოდე სიტყვა არ დავსძინოთ, რადგან სრულ სიმართლედ არ მიგვაჩნია ზოგი მისი მოსაზრება. რასაკვირველია, ბ-ნ გოგებაშვილის მოსაზრებანი სახალხო და საქალაქო სკოლებში რუსულ ენის დაწყების შესახებ სამართლიანია, თუ დავეთანხმებით, რომ რუსული ენა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენ სახალხო პირველდაწყებით სკოლებისთვის. ეჭვი არ არის, რომ რაც უფრო გვიან დააწყებინებთ ბავშვს უცხო ენის სწავლებას, მით უფრო მეტს ნაყოფს მოიტანს, მაგრამ უნდა ვიკითხოთ, რა მიზანი აქვს რუსულ ენის სწავლებას სახალხო პირველდაწყებით სკოლაში. თუ ის, რომ ბავშვს შეასწავლონ იმდენად ენა, რომ ცხოვრებაში გამოიყენოს, მაშინ ის დრო, რომელიც ბ-ნ ი. ქიქინაძის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ დაუთმო სახალხო სკოლებს, სრულიად საკმაო არ არის. ბავშვებმა ბევრი, ბევრი შეისწავლონ ანბანი და დიდის გაჭირვებით დაამტვრიონ რუსული. ეს ნაყოფიც, ათის დამაბრკოლებელ მიზეზის გამო, მალე გაქარწყლდება.

მეორე მიზანი რუსული ენის სწავლებისა შეიძლება ის იყოს, რომ ბავშვმა იმდენად შეისწავლოს იგი, რომ შეეძლოს ამ ენაზე განვითარება მიიღოს წიგნების საშუალებით, ან გზა გაიხსნას საშუალო სკოლებში. ეს მიზანი უფრო ძნელი მისაღწევია, ვიდრე პირველი, იმავე მოსაზრებით, რომელსაც უნდა დაუმატოთ საქმის სიძნელეც. რუსეთის სახალხო სკოლებმა, სადაც სწავლება სამშობლო ენაზე სწარმოებს, ნათლად დაამტკიცეს, რომ ხანმოკლე სწავლება სოფლის ხელშემშლელ პირობებში თითქმის არავითარ ნაყოფს არ იღებს და ბავშვები სკოლიდან გამოსვლისათანავე ივიწყებენ იმასაც, რაც უსწავლიათ. მით უმეტეს უნდა ვიფიქროთ, რომ ესეთივე შედეგი მოჰყვება უცხო ენის სწავლებას ჩვენ სკოლებში: რუსულ ენას ჩვენი სოფლელი ბავშვი არ შეისწავლის ჯეროვანად და ძვირფას დროს კი დაჰკარგავს. ვიტყვით მეტს, რუსული ენა პირველდაწყებით სკოლაში უნაყოფობის გარდა, თვით დედაენის სწავლებას შეუშლის ხელს და, ვაი, თუ სამშობლო ენა უცხო ენას „დოვესკა“ გახდეს.

რუსული ენის დასაწყისი სასოფლო და სამოქალაქო სკოლებში

სამოსწავლო გეგმები ერთსა და იმავე დროს იწყებენ რუსულის ენის სწავლებასა სამოქალაქო და სასოფლო სკოლებში, თითქო ეს ორ-გვარი სკოლები ერთსა და იმავე პირობებში მოქმედობდნენ, მაგრამ, ბიუროკრატიის გარდა, სხვამ ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდს განსხვავებას აქვს აქ ადგილი. გავითვალისწინოთ ეს განსხვავება.

სასოფლო სკოლებში სწავლება ჯეროვანის წესით და რიგით იწყება ნოემბრიდან, როდესაც სამუშაოებს გლეხები ათავებენ, და თავდება აპრილის დამდეგშივე, როდესაც ახალი სამუშაო საქმეები უჩნდებათ გლეხებს. ამ სახით, სასოფლო სკოლაში სწავლება გრძელდება, ბევრი-ბევრი, ხუთს თვესა. სამოქალაქო სკოლა მეცადინეობას იწყებს სექტემბრის პირველიდან და ივნისამდინ აგრძელებს; მაშასადამე წლის კურსის სიდიდე ქალაქში უდრის ცხრა თვესა. ამასთან ქალაქელი მოწაფენი გამუდმებით დადიან სკოლაში, სოფლელი ბავშვები კი ხშირად აკლდებიან გაკვეთილებსა. ეს იმის გამო კი არა ხდება, ვითომც სოფლელს ბავშვებს ქალაქელებზე ნაკლებად უყვარდეთ სწავლა. არა, მიზეზი სხვა გახლავთ. სოფლელი ბავშვი პატარა მუშას წარმოადგენს, რომელიც ბევრს საქმეს უკეთებს თავის ოჯახს. ამიტომ იგი მხოლოდ მაშინ მირბის თავის საყვარელ სკოლაში, როდესაც თავისუფალია შინაური საჭირო საქმისაგან. ქალაქელს ბავშვს კი შინაური სამუშაო არა აქვს და მას შეუძლიან ყოველ დღე იაროს სკოლაში და კიდეც დადის. ამის გამო სოფლელი ბავშვი სწავლას ერთი ორად ნაკლებს დროს ანდომებს და ერთი ორად მცირედსა სწავლობს, ვიდრე ქალაქელი ბავშვი.

თუ სამოსწავლო გეგმა მცირეოდნად მაინც პედაგოგიურია, იგი რუსულის ენის დაწყებას იმავ თავიდან არ თხოულობს. იგი ნახევარ წელიწადს მაინც ანთავისუფლებს სკოლას რუსულის ენის გაკვეთილებისაგან. რა მოსაზრებით? იმ მოსაზრებით, რომ ბავშვს დრო მისცეს ჯერ ერთს სიძნელეს მოერიოს—ესე იგი შეითვისოს მშობლიური წერა-კითხვა და მერმე მეორე სიძნელის დაძლევას შეუდგეს—რუსულის ენის სწავლებასა. ქალაქელი მოწაფე სექტემბრიდან დაწყებული იანვრამდე ყოველ დღე ბეჯითობს და ათავებს არა მარტო ქართულს ანბანსა, არამედ ნაწილსაც პირველის საკითხავის წიგნისასა, და მაშასადამე ცოტაოდნად მაინც შეიარაღებულია მეორე სიძნელეს შეებრძოლოს. სოფლელი ბავშვი კი იანვრამდინ ქართულს ანბანსაც ვერ ათავებს, ზოგს ქართულს ასოებსაც ვერ იცნობს და ამიტომ ამ დროს რუსულის ენის დაწყება აუტანელ ტვირთად აწვება მას, უჩაგრავს გონებასა და სკოლის სიძულვილს უნერგავს გულში. სასოფლო სკოლის მოწაფემ მხოლოდ პირველის წლის ბოლოს იცის იმდენი, რამდენიც უკიდურესად არის საჭირო რუსულის ენის გაკვეთილების დასაძლევად და რამდენიც ქალაქელმა ბავშვმა იცის პირველის იანვრისათვის.

ცხადია, რომ თუ ქალაქელს მოსწავლეებს რუსულ ენას აწყობინებენ პირველის წლის მეორე ნახევრიდან, სოფლელ ბავშვს უნდა დააწყებინონ არა უადრეს მეორეს წლისა....

ამ გარდანაცვლებას დაჟინებით ითხოვს სხვა გარემოებაც. ქალაქელს ბავშვს ქუჩაში ესმის რუსული ლაპარაკი, შეჩვეული აქვს მასთან ყური და ზოგიერთი რუსული სიტყვები იცის.... სოფლელის ბავშვისათვის კი რუსული ენა იმდენადვე უცხოა, რამდენადაც უცხო გერმანული და ფრანგული. მაშასადამე.....

სხვა გარემოებაც საჭიროდ ჰხდის ხსენებულს გარდანაცვლებას.

პატარა და ღარიბი სოფლები, რომელთა რიცხვი ჩვენში უმრავლესობას შეადგენს, იძულებულნი იქმნებიან დაკმაყოფილდნენ პატარა და იაფი ქართული სკოლებით, რომელთაც ექმნებათ ორის წლის კურსი, სადაც ის პატარა ბავშვები ისწავლიან ქართულს წიგნსა და შეიძენენ დასაწყისს ცოდნას არითმეტიკიდან და საღმრთო სჯულიდან და სადაც რუსულ ენას, კურსის სიმოკლის გამო, ადგილი ვერ მიეცემა. ამ სკოლის გათავების შემდეგ შეძლებული გლეხის შვილები უსათუოდ მოისურვებენ სწავლის გაგრძელებას. სად უნდა წავიდნენ? კარგი, თუ ჩვენი სამოსწავლო გეგმა მიღებულ იქმნა და ყველა ოთხმა-ხუთმა სოფელმა დააარსა საერთო სკოლა ოთხის-ექვსის წლის კურსითა; მაშინ ის ბავშვები მოექცევიან ამ სკოლებში და განაგრძობენ სწავლასა; მაგრამ ამის იმედი ძალიან ნაკლებად გვაქვს ამ ჟამად. ჩვენის გეგმის განხორციელებას მხოლოდ მომავალში მოველით. ახლა-კი უფრო მოსალოდნელია სისრულეში მოყვანა იმ ოფიციალურის გეგმისა, რომელიც უკვე დაიბეჭდა გაზეთებში. და აი თუ ამ გეგმაში შეიტანეს ის ცვლილება, რომ რუსული ენა სოფლის სკოლებში უნდა იწყებოდეს მეორე წლიდგანო, მაშინ წერა-კითხვის სკოლების ნამოწაფარნი ამ სკოლების მეორე განყოფილებაში მიიღებიან, მის მოწაფეებთან ერთად დაიწყებენ რუსულს ენასა და მათთან ერთად განაგრძობენ მთელს სწავლასა...ამ მხრით დაარსდება კავშირი დიდსა და პატარა სასოფლო სკოლების შორის... აქ საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ რუსულის ენის დაწყების ვადას სკოლებში დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მხოლოდ ჭკუა-მოკლე პოლიტიკანები ფიქრობენ, რომ რამდენადაც ადრე დავაწყებინებთ, იმდენად მეტს რუსულს ვასწავლითო, პედაგოგები-კი გვასწავლიან, რომ თუ განუვითარებელ, გამოუფხიზლებელს ბავშვს უცნობი ენა ადრე დააწყებინეთ, გონება დაუხშობა, სწავლის ხალისს დაუკარგავთ და თვით ამ ენის შეთვისებას ხელს ძლიერ შეუშლითო. სამაგიეროდ, თუ ბავშვს საკმარისი დრო მიეცით განვითარებისათვის და მხოლოდ შემდეგ დააწყებინეთ უცხო ენის სწავლება, იგი ამ ენას ორკეცი შეგნებით და სისწრაფით შეითვისებს და სხვა საგნებშიაც ჯეროვანს წარმატებას გიჩვენებთო. ასეთის აზრისანი არიან არა მარტო ევროპიელი და ამერიკელი პედაგოგები, არამედ ყველა გამოჩენილი რუსეთის პედაგოგი, მაგალითად უშინსკი, ბუნაკოვი, ანასტასიევი, ბობროვნიკოვი, ტიხომიროვი, სტოიუნინი და სხვანი...

ი. გოგებაშვილი.

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **ბათუმის სადგურის კონდუქტორებმა** ივლისის ჯამაგირები არ მიიღეს, რადგან იმ ჯამაგირიდან დაიჭირეს გაფიცულ დროის ფული. კონდუქტორებმა სთხოვეს ამიერ-კავკასიის რკინის გზას, რომ დაჭერილი ფული დაგვიბრუნეთო, მაგრამ უარი მიიღეს.

◆ 17 აგვისტოს დილით ამიერ-კავკ. რკინის გზის მიმოსვლის უფროსთან იყო საქონლის სადგურის **რამდენიმე გაფიცული მუშა.** მუშებმა აუხსნეს თავიანთი გარემოება და სთხოვეს დაკმაყოფილება ან არადა საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმე მოიჯარადარეს გადაეცით, რადგან როდესაც სადგურის უფროსი მუშების საქმეს შინაურულად აწარმოებს, უთანხმოება ხდება. მაგა-

---

ფელეტონი

გლეხი და მუშა,
როგორც საზოგადოებრივი კლასი

(ს. მასლოვისა).

ყველას ნათლად არა აქვს წარმოდგენილი და გარკვეული, თუ რა ადგილი შეუძლია დაიკავოს გლეხს სოციალურ-ეკონომიურ ბრძოლაში. აგრე წოდებულ „მეცნიერულ სოციალიზმის“ თეორით, მუშათა კლასის ინტერესების კლასობრივი ბრძოლის წარმომადგენელია უმთავრესად მსხვილი მრეწველობის პროლეტარიატი. ამ თეორიის მიმდევარი ორტოდოქსები *) ამტკიცებენ, რომ მომავალის სოციალური მიზნის შეგნება შეუძლია მუშა ხალხის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილს, სახელდობრ იმ ნაწილს, რომელიც „გაწვრთნა კაპიტალიზმა“ მსხვილ წარმოებაში. მაგრამ ცხოვრების მაგალითები სულ სხვა დადებს უფრო დღე...

როგორც ვიცით, დასავლეთ ევროპაში მუშათა პარტიის პოლიტიკური მოღვაწეობა უმთავრესად გამოიხატება პარლამენტში. დეპუტატის არჩევნები აერთებს განსაზღვრულ მიზნისათვის ერთგვარ ჯგუფებს, აერთებს მუშებსაც. დეპუტატთა ამომრჩევლების სიის შესწავლა გვიჩვენებს, თუ რა და რა ელემენტი იკრიბება ამა თუ იმ დეპუტატის პროგრამის გარშემო. სოციალ-დემოკრატიულ დეპუტატების სიის შესწავლა გვირკვევს, თუ როგორ ელემენტებს აერთებს მუშათა პარტიის სოციალისტური პრინციპები.

ეს საკითხი შეისწავლა ბლანკმა და ერთს გერმანულ ჟურნალში მეტად საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა. ბლანკის გამოანგარიშებით, 1903 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს სამრეწველო მუშებმა მისცეს სოციალდემოკრატიულ პარტიას 2.446,000 ხმა, მაშინ როდესაც სოციალისტებმა სულ მიიღეს 3.010,771 კენჭი. მაშასადამე 564 ათასი კენჭი პარტიამ მიიღო სხვა ჯგუფებისაგან, მაგალითად გლეხებისა, ხელოსნებისა, წვრილ მწარმოებლებისა, ნოქრებისაგან.

შემდეგ ბლანკი გვაძლევს ცნობებს სოციალდემოკრატიულ მოძრაობის შესახებ სოფლის მცხოვრებთა შორის. გერმანიის სოციალდემოკრატიის მეთაურები უფრო და უფრო მეტს ყურადღებას აქცევენ, რომ მიიმხრონ გლეხები. სხვა ქვეყნებში აგრარული (სასოფლო) კითხვები უკვე შეტანილია მუშათა პარტიების პროგრამაში. გერმანიაში-კი ფოლმარის და მისი მეგობრების მეთაურობით, ახლა მიაქციეს მხოლოდ ამას ყურადღება.

მაგრამ, თუმცა განსაკუთრებული აგრარიული პროგრამა არ არსებობს, სოციალდემოკრატიულმა მოძრაობამ ფეხი მოიკიდა სოფლებში. ბლანკის გამოანგარიშებით სოციალდემოკრატებმა სოფლებში მიიღეს 736 ათასი კენჭი და უეჭველია, ნაწილი ამ ხმებისა ეკუთვნის გლეხებს. ეს იმითი მტკიცდება, რომ საერთო რიცხვი სოციალდემოკრატების მიერ მიღებულ კენჭებისა ზოგიერთ სოფლებში აღემატება ამ ადგილებში მცხოვრებ მუშების და ხელოსნების რიცხვს.

შეკრებილ ცნობებიდან ბლანკს ის აზრი გამოჰყავს, რომ გერმანიის მუშათა პარტიის დეპუტატები პარლამენტში მარტო „პროლეტარიატის“ ინტერესების წარმომადგენელნი-კი არ არიან, არამედ ცდილობენ, რომ მიიღონ სახალხო პარტიის სახე.

ამიტომ, ამბობს ავტორი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია არ არის კლასის პარტია, არამედ კოალიციის პარტიაა; იგი აღარაა მუშათა პარტია, რადგან მის წევრთა შორის ერთ მილიონამდე გლეხია და ბურჟუა (?).

მაგრამ ასეთს დასკვნას და მსჯავრს ვერ დავეთანხმებით და ბლანკის საინტერესო გამოკვლევიდან სულ სხვა აზრი უნდა დავასკვნათ, რომელმაც არსებითად უნდა შეასწოროს წინანდელი თეორეტიული შეხედულება საზოგადოებრივი კლასისა და მუშათა პარტიის მიზნის შესახებ.

მუშათა პარტიის გაფართოება გლეხებისა და სხვა დემოკრატიულ ელემენტების შემწეობით, შეიძლება, ეწინააღმდეგება „მეცნიერულ სოციალიზმის“ პრინციპებს და უარყოფილი იქნება ორტოდოქსების მიერ, მაგრამ ასეთი გაფართოება სრულიად შეეფერება და ეთანხმება ამომრჩეველთა ცხოვრების ინტერესებს და რაკი ფაქტები არსებობს, საჭიროა თეორიის გადასინჯვა და მისი შესწორება.

ბლანკის გამოკვლევა იმას გვიჩვენებს, რომ პარტია კი არ ჩამორჩა კლასობრივ ბრძოლას, როგორც ეს წარმოდგენილი აქვს დოგმას, არამედ პირიქით დოგმა, რომელშიც შეფარა მუშათა კლასი, თვითონ ეს დოგმა ჩამორჩა ცხოვრების მიერ წამოყენებულ პროგრამას. გერმანიის ამომრჩეველთა სიის შესწავლა გვიმტკიცებს, რომ ცხოვრება ანგარიშს არ უწევს დოგმას და პრაქტიკულად შეაქვს ცვლილებანი და ამით ავალებს შეასწოროს შეხედულება იმ საზოგადოებრივი კლასის შესახებ, რომელსაც ეწოდება სახელად მუშათა კლასი.

თავის დროზე თვითონ გერმანიის სოციალდემოკრატებმა (ფოლმარი, მეკლენბურგი და სხ.) აღნიშნეს, რომ არ შეიძლება „მუშა“ მარტო „პროლეტარიატს“ ვუწოდოთ. პროლეტარიატი მხოლოდ ზოგიერთი გარეგანი თვისებით განსხვავდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მუშა ხალხის სხვა ჯგუფებისაგან.

მუშა ხალხის აუცილებელ ნაწილს შეადგენს მუშა გლეხკაცობაც. გლეხი და ინდუსტრიის (საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის) მუშა არსებითად ერთის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიის წარმომადგენელნი არიან.

ძირითადი მომენტი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი ჯგუფის კლასობრივ მდგომარეობას, არის მისი (ჯგუფის) მდგომარეობა წარმოებასა და ნაწარმოების განაწილებაში. ამ მხრივ გლეხი, პროლეტარი და წვრილი ხელოსანი არიან შემქმნელნი მთელი საზოგადოებრივ ნაწარმოებისა. ამავე დროს არც ერთი მათგანი არ არის მწარმოებელი-კაპიტალისტი, რომელიც ითვისებს ნაწარმოებისაგან მოგებას, არამედ ყველანი პირდაპირი მწარმოებელნი არიან, მუშები, ნამდვილი და ჭეშმარიტი მუშები. ყოველი მათგანი ცხოვრობს თავის შრომით, მაგრამ თავის შრომის ნაწარმოებიდან, თანამედროვე საზოგადოების ბურჟუაზიული წესწყობილების გამო, იღებს მხოლოდ მცირე ნაწილს, რომელიც ძლივ-ძლივობით ჰყოფნის მას თავის სარჩენად. გლეხსა და მუშას შორის ეს გარემოებანი განსხვავებაა, რომ ერთი არის მუშა თავის „დამოუკიდებელ“ მეურნეობაში, მეორე-კი—სხვის, მწარმოებლის მეურნეობაში. ამ ფორმალურ განსხვავებისაგან წარმოსდგება მხოლოდ ის განსხვავება, რომ გლეხი და მუშა სხვა და სხვა საშუალებით იყვლიფება.

თუ საზოგადოდ თავის ერთნაირი სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობით გლეხი და პროლეტარი ერთის კატეგორიის, ერთის საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენელნი არიან, ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, არსებობს მრავალი სხვა და სხვა გარემოება, რომელიც კიდევ თითქმის სრულიად სპობს ფორმალურ განსხვავებასაც გლეხსა და პროლეტარს შორის.

საქმე ისაა, რომ თუ პროლეტარის ერთ უმთავრეს თვისებათაგანი შრომის გაყიდვაა, თანამედროვე გლეხიც უმრავლეს შემთხვევაში იძულებულია გაყიდოს თავისი შრომა, დაექირაოს სხვას. გარდა ამისა იმ შემთხვევაშიაც, როდესაც გლეხი არ აქირავებს თავის სამუშაო ძალას, იგი სხვისი მიწის მოიჯარადრეა. იჯარადრობა ძალიან გავრცელებულია ახლა, მაგრამ იჯარით აღებულ მიწისაგან გლეხს მხოლოდ სამუშაო ქირა რჩება, თავის შრომის ქირას ღებულობს, სხვას არაფერს. მართალია, ზოგიერთები დიდს ყურადღებას აქცევენ იმას, რომ პროლეტარი, დაქირავებული მუშა, მუშაობს საზოგადოებრივ წარმოებაში, გლეხი კი—ინდივიდუალურ წარმოებაში, რაც ცუდად მოქმედობს გლეხის კათვითცნობიერებაზედ. მაგრამ ამ გარემოებას მნიშვნელობა არა აქვს სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევად. კლასობრივი წინააღმდეგობათა გამოკვლევის დროს უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საზოგადოებრივი ჯგუფი იყვლიფება, და როგორ იყვლიფება, ერთად იყვლიფებიან ჯგუფის წევრები, თუ ცალკ-ცალკე,—ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს გამოკვლევის ხასიათის გამოსარკვევად.

რაც შეეხება თვითცნობიერების განვითარებას, თუ მართლა განცალკევებულ წარმოების დროს თვითცნობიერების განვითარება გაძნელებულია, ამას ფორმალური მნიშვნელობა აქვს და შეეხება ტაქტიკას და არა პროგრამას. გლეხს სხვაფერ არ შეუძლია შეიგნოს თავისი ინტერესი, თუ არა როგორც ინტერესები მშრომელი, მუშა კლასისა. საერთო ინტერესების შეგნება, როგორც ამას გვიჩვენებს სხვათა შორის ბლანკის გამოკვლევაც, აიძულებს გლეხებს და პროლეტარებს შეერთდენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში თავის ინტერესების გასახორციელებლად, და ეს ინტერესი ყველაზე უფრო ნათელყოფს საზოგადოებრივ ჯგუფების კლასობრივ მდგომარეობას.

ერთნაირ უმთავრეს მიზნის განხორციელების გარდა გლეხი და პროლეტარი ერთნაირად დაინტერესებულნი არიან, რომ დაცულ იქნას შრომა, გაუმჯობესდეს წარმოება, უფრო სამართლიანად განაწილდეს ნაწარმოები და სხ. ამისათვის მათთვის საჭიროა შეერთებული მუშაობა. დასავლეთ ევროპაში ეს უკვე მომხდარი ამბავია. ცხოვრების მოთხოვნილებათა ზეგავლენით გლეხები და პროლეტარები ცდილობენ შეერთდენ ერთ პარტიად პარლამენტში, ირჩევენ ერთნაირ სოციალისტ დეპუტატს და ერთად იბრძვიან ანტი-ბურჟუაზიულ მიზნის განსახორციელებლად. ასეთი ერთობა სრულიად გასაგებია და შეეფერება მუშა ხალხის ინტერესებს და მის თვითცნობიერების განვითარებას.

ქ.

---

*) წინად ბ. მასლოვიც მართლ-მორწმუნე მარქსისტი იყო. ქ.

ლითად, ამს წინად მოკლულმა ტერპილოვსკიმ დათხოვნილ მუშების მაგივრად დაიბარა კავკავიდან ოცდა თხუთმეტი მუშა ოსი და აგერა, ორი თვე მუშაობენ და კაპეიკი არ მიუღიათ. ასი მუშა კიდევ ჩამოვიდა ბაქოდან და ისე ცარჩა. მიმოსვლის უფროსმა უთხრა მუშებს, რომ თქვენი საქმე საბჭოში გაირჩევა.

◆ ნამესტნიკის კანცელარიამ მოსთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ცნობები სხვა და სხვა **საზეგრრო გადასახადების შესახებ.** სახელდობრ: გზების კეთებისა, ხიდებისა, სასოფლო საავადმყოფოებისა, სკოლებისა და სასოფლო სამეურნეო თანხების შესახებ. აღნიშნულ ცნობებს კავშირი აქვს ერობის დაწესებულებების შემოღებასთან.

◆ 16 აგვისტოს ნამესტნიკის თანაშემწეს სულთან-კრიმ-გირეის წარუდგნენ **სოხუმის მცხოვრებთა** წარმომადგენელნი თ. ა. შარვაშიძე და ნ. ი. თავდგირიძე, რომელთაც ნამესტნიკის მოადგილეს სიტყვიერადაც მოელაპარაკნენ და წერილობითი მოხსენებაც წარუდგინეს სოხუმის ოლქის შავი ზღვის გუბერნიასთან შეერთების უხერხულობის შესახებ. ნამესტნიკის მოადგილემ აღუთქვა წარმომადგენლებს, რომ მიიღებს მხედველობაში აღნიშნულ საბუთებს სოხუმის ოლქის ადმინისტრატიულად მოწყობის დროს. ამას გარდა დეპუტაციას მსჯელობა ჰქონდა სოხუმის ოლქში საომარ დროის წესების მოსპობის შესახებ, ამ საკითხის შესახებ სულთან-კრიმ-გირეიმ წერილობით მოხსენება მოითხოვა.

◆ 15 აგვისტოს ბორჯომიდან ტფილისში მომავალ მატარებელზე, მცხეთის მახლობლად, გორის მაზრის სოფ. ფლავისმანის მემამულეს სათადარიგო ჯარის პორუჩიკს **თავ. გ. ქ. ერისთავს მოუკლავს მოხელე ნიკ. მადზილევიჩი.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, თავ. ერისთავი როტმისტრს ბ. ესაძეს ესაუბრებოდა თურმე. სხვათა შორის, რაღაც საკამათო საგნის გამო, თავ. ერისთავს უთქვამს, რომ ყველა გაზეთი ტყუისო. იქვე მჯდომ მადზილევიჩს, რომელიც, როგორც ამბობენ, ნასვამი ყოფილა, ამაზე დაუძახნია: „თითონ შენ სტყუი“-ო. თავ. ერისთავს მიუგია, ჩვენ ლაპარაკში ნუ ერევით, მე თქვენთან არა მიყვარს ლაპარაკიო. მადზილევიჩს უთქვამს: „რა გგონია, ხანჯალი რომ გკიდია, ფიქრობ, შემაშინებ. შიგ სახეში მოგცხებ“-ო. ამით გაჯავრებულ ერისთავს ხანჯალი უძგერია და სასიკვდილოდ დაუჭრია მადზილევიჩი. დაჭრილი ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა. თავ. ერისთავი ჰაუპტვახტაზე დააპატიმრეს.

◆ ტფილისის საეპარქიო **სამრევლო სკოლების ზედამხედველი ოდიევი** სხვა ადგილზედ გადაჰყავთ. იმის ადგილზედ, კანდიდატებად ასახელებენ ტფ. სასულიერო სემინარიის მასწავლებლებს ილ. ფერაძეს და ა. ნატროშვილს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა უმაღლესს მთავრობას, რომ **საგუბერნიო საპყრობილე და მეტეხის ციხე სავსეა ტუსაღებით** და ახალ ტუსაღებისთვის ადგილი აღარ არისო. ამის გამო ნამესტნიკის თანაშემწემ დეპეშით სთხოვა სატუსაღოთა მთავარ სამმართველოს უფროსს, ზოგიერთი ტუსაღი ტფილისიდან მოსკოვის საპყრობილეში გადაიყვანოს. („კავ.“)

◆ გუშინ, 16 აგვისტოს, კისლოვოდსკიდან ტფილისში **დაბრუნდა პოლიციის უფროსი გენერალი შირინკინი.**

◆ ამ ორი წლის წინად ტფილისის მაზრის სოფელ ნორიოდან რამოდენიმე არა კეთილსაიმედო **კაცი გადაასახლეს ადმინისტრატიულის წესით.** ეხლახან სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, ამ კაცების უკან დაბრუნების შესახებ.

◆ ბორჩალოს მაზრიდან ფურგუნით მონავლებულა 12 კაცი. 16 აგვისტოს მგზავრები გვიან შემოსულან ქალაქში. როცა საგუბერნიო საპატიმროს ახლო მოსულან, ხიდი ხრამზე ჩამტვრეულა და ფურგუნი ჩავარდნილა რამდენისამე საჟენის სიმაღლიდან. ფურგუნს ზედ დასცემია ხანგრევები და ეს ამოდენა ხალხი ქვეშ მოუტანია. ხმაურობაზე მიშველებიან და დიდის ვაი-ვაგლახის შემდეგ დაშავებულნი ხევიდან ამოუყვანიათ. **4 კაცი მკვდარი გამოათრიეს, 3 ძალიან დაშავებული.** დანარჩენი 5 კაცი უფრო სუსტად არის დაშავებული.

◆ 10 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, დუშეთის მაზრაში **მოჰკლეს ძალიხელი მემამულე ივანე დიმიტრის ძე მუხრანსკი,** როდესაც იგი დუშეთიდან თავის ნათესავთურთ პუხრანსკისთან ერთად სახლში ბრუნდებოდა. როცა მგზავრები მჟადის-ჯვარსა და წილკანს შუა ტყეში შესულან, საიდანღაც სამჯერ თოფი გავარდნილა. ერთი ტყვია მოხვედრია მუცელში, მეორე—უბეში, სადაც რევოლვერი სდებია. რევოლვერიც გავარდნილა და მკლავში დაჭრილა. დაჭრილი გზაშივე გარდაიცვალა. („ივ.“).

◆ ამას წინად სიღნაღის მაზრის ჯუგაანის სოფლის საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა, რომლითაც მთავრობას სთხოვდა **საზოგადოებიდან ცხრა კაცის გაძევებას და სხვაგნ გადასახლებას.** ეს ცხრა კაცი ადმინისტრაციას საპყრობილეში ჩაუსვამს საქმის გამოძიებამდე. აღნიშნულ განაჩენზე მთავრობას ოცზე მეტი საჩივარი მოსვლია, რომლებშიაც მომჩივანნი განაჩენის უკანონოდ შედგენას ამხელებდნენ და სასტიკ გამოძიებას სთხოვდნენ მთავრობას. საგლეხო საკრებულომ გამოძიება მიანდო მაზრის უფროსს და მომრიგებელ შუამავალს. ამათ გამოძიებით, ცხრა კაცში ხუთი უდანაშაულოდ ყოფილა დაჭერილი. მთავრობამ განკარგულება მოახდინა, ეს კაცები გაანთავისუფლონ. დანარჩენში-კი განაჩენი დაამტკიცა.

◆ ქალაქ გორის მოურავს ამას წინად შუამდგომლობა აღუძრავს საგუბერნიო მთავრობის წინაშე, რომ **რკინის გზის სადგური გორში ახლო-მახლო მცხოვრებლებით,** რომელიც მიწერილია ხიდისთავის სოფლის საზოგადოებაზე, შეეერთებინათ გორთან. საგუბერნიო მთავრობამ ეს შუამდგომლობა, საგლეხო კანონების თანახმად, გაუგზავნა მომრიგებელ შუამავალს და წინადადება მისცა, აღნიშნული საკითხი ხიდისთავის სოფლის ყრილობაზე გლეხებთან ერთად გაერჩია. სოფელს განაჩენი დაუდგენია, რომლითაც უარს აცხადებს სადგურის ქალაქთან შეერთებაზე. სოფელი აცხადებს, რომ მას დიდი ზარალი ექმნება სადგურის და ახლო-მახლო მცხოვრებთა ჩამოცილებით.

◆ **თელავის მაზრის სოფელ რუისპირის საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეს ისარგებლოს იმ ტყით, რომელიც შუამთის მონასტერს ეკუთვნის. გლეხებს აგრეთვე უთხოვნიათ აღდგენილ იქმნას აღნიშნულ ტყის ხმარების მფლობელობა, რადგან იგი მონასტრის უფროსებს დაურღვევიათ.

◆ ქიზიყში ანაგისა და ფიჩიანის **გლეხებს დიდი ხანია დავა აქვთ** ეგრედ წოდებულ „ძველ ანაგის“ მიწების შესახებ. ამას წინად მიწის მზომელი გაიგზავნა აღნიშნულ მიწების საზღვრების გასაწესრიგებლად და სამაზრო ადმინისტრაციასაც წინადადება მიეცა, მოერიგებინა გლეხები. ეხლა ხან კიდევ ჩამოვარდნილა უთანხმოება. მთავრობას აუარებელი საჩივარი მოსდის ორივე სოფლის მცხოვრებთაგან.

◆ სიღნაღის მაზრის სოფ. **შილდიანის და ყანდაურის გლეხობას შუამდგომლობა აღუძრავს,** რომ იმათ უკანვე დაუბრუნონ თავად ანდრონიკაშვილების მიერ ჩამორთმეული ადგილი—„ბადიაური“. ამას გარდა უთხოვნიათ უფასოდ დათმობა სახელმწიფო და კერძო ტყეებიდან ყოველგვარ მასალისა.

◆ **კახეთი.** ერთი კვირაა სწვიმს. თუმცა პურის, ქერის და ფეტვის მოსავალს არა უჭირდა-რა, მაგრამ წვიმების გამო ვეღარ გაულეწნიათ. ძნას წვიმა გაულპის, ნამჯას დააყანდრებს, ბზედ აღარ გამოდგება და მარცვალს აჯეჯილებს. ერთად-ერთი შველა ამისთანა დროს ალაჯანოვის სალეწი მანქანაა, რომ დროზე შეეკეთებინა და სახმარებლად დაემზადებინა. საიუბილეო გამოფენაზე ორი სალეწი მანქანა გამოსცადეს, ორსავე ნაკლი აღმოაჩნდა, რომელიც მალე შეიძლებოდა შეესწორებინათ, მაგრამ აქნობამდის აღარა ისმის რა. მათი ღირსება ის იყო, რომ ორივე ბზეს ამზადებს, გარდა იმისა, რომ მარცვალსაც აშორებს.

◆ **ქალაქის თვით-მმართველობამ შეუკვეთა ათასი ვაგონი** ქვა ქუჩების მოსაკირწლავად. ამ ქვას წამოიღებენ ტყიბულის შტოს კურსების პლატფორმიდან. რკინის გზამ განკარგულება მოახდინა, რომ ამ პლატფორმაზე ხუთი ვაგონი გაიგზავნოს ყოველ დღე ქვის დასატვირთავად.

◆ ჯულფის რკინის გზის ამშენებელმა, ინჟენერმა ვურცელმა შეატყობინა ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობას, რომ **ჯულფის ლიანდაგი ულუხანლუდან ნახიჩევანამდის მზად არის** და სახალხო და საქონლის მატარებლების მიმოსვლა დაიწყება 20 აგვისტოდანაო. სახალხო მატარებლები კვირაში სამჯერ ივლიან.

◆ მთავრობის განკარგულებით, **ბორჩალოს მაზრასა და სოხუმის ოლქში ინჟინრები გაიგზავნენ** ახალ გზა-ტკეცილების გასაყვანად.

◆ შუშაში 16 აგვისტოს, როგორც „ტ. ლ.“-ს გაუგია, **შეტაკება მოსვლიათ თათრებსა და სომხებს.** არიან მოკლულნი და დაჭრილები. ტყვეტა-ხოცვა დაწყებულა საღამოს 6-ზე და გათავებულა 7 საათზე.

◆ როგორც გავიგეთ, უწმ. სინოდის განკარგულებით, საქართველოს ეგზარხოსს უფლება მიეცა საეგზარხოსოს **სასულიერო სასწავლებლების შესახები საკითხები** აქვე თავის უფლებით გადასწყვიტოს.

◆ უმაღლეს სასულიერო მთავრობის განკარგულებით, **სრულიად უქმდება** საეგზარხოსოს სამრევლო სკოლების ოლქის მეთვალყურის თანამდებობა და სამრევლო-საეკლესიო სკოლების საოლქო საბჭო.

◆ ნამესტნიკის ბრძანებით, დრაგუნთა მე-43 პოლკის **ერთი ესკადრონი თიანეთიდან უკან თუქურმიშაში დაბრუნდა,** ხოლო მეორე ესკადრონი გაიგზავნა თიანეთის მაზრის სოფელ მატანში.

◆ **ორთაჭალისაკენ ელექტრონის ტრამვაი** სრულიად დამთავრებულია. პარასკევს, 19 აგვისტოს, ტეხნიკოსთა კომისია გზას დაათვალიერებს და 20 აგვისტოდან მიმოსვლა დაიწყება.

◆ წელიწადზე მეტია ტფ. ქალაქის საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება 3600 მან. გადადების შესახებ ნაძალადევსა და დიღმის გორას შუა ხიდის გასაკეთებლად. 16 აგვისტოს გამგეობამ გადასწყვიტა შეუდგეს ხიდის კეთებას.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ 16 აგვისტოს მოისმინა წერილი ძმათ- ჯამგაროვების საბანკირო კანტორისა 300,000 მანეთის სესხის შესახებ. რადგან ტფ. საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება სესხს 7 პროც. აძლევს, ხოლო ჯამგაროვები კი 6 პროც. იღებენ, გამგეობამ დაადგინა, ჯამგაროვებისაგან აღებულ სესხით გაანაღდოს საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების ვალი და შემდეგ ფულის სესხება ჯამგაროვებისაგან განაგრძოს.

◆ ამ დღეებში რიყეზე მალაკანი პონომარევი მოჰკლა მეზობელმა ვასილ ტრეგუროვმა და სადღაც გადაიმალა. ტრეგუროვი 16 აგვისტოს თითონ გამოცხადდა პოლიციაში და თავისი დანაშაული აღიარა. ბრალდებული გამომძიებელს გადასცეს.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ნება მიბოძეთ გამოვაცხადო ანგარიში ჩემ მიერ გამართულ სეირნობისა „ქართველთა შორის წერ-აკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, 3 ივლისს ქ. გორში. შემოვიდა სულ 345 მან. 64 კაპ. ხარჯი იყო სულ 342 მან. 10 კ. სახელდობრ: გიორგი ხუციშვილს—დურგალს—30 მან., კალანდაძეს—35 მან. 84 კაპ. (აფიშებისა, ანონსებისა და ბილეთების დასაბეჭდი 9 მან. 50 კ., 200 ცალი ქაღალდის ფარანი 12 მან., ბაზრისათვის ნივთები 12 მან. 40 კ., წვრილი ხარჯი 3 მან. 58 კ., როგორც მაგალითად: კარდონი, რვეულები, ფოსტისათვის, კარანდაშები და სხვა) 35 მან. 18 კ., სოლოღაშვილს—8 მან. 45 კ. (ლუდი), დონდაროვს—27 მ. 34 კაპ. (ბაზრისათვის ნივთები); მიხეილ კაკოევს—3 მ. 70 კ. (30 არშინი კუმაჩი); ამერიკულ ბაზარ (ენეურგია“-ს—13 მან. 67 კ. (სანთელი 23 გირვანქა 6 მ. 21 კ. ბაზრისათვის ნივთები 7 მან. 46 კ.), მიხეილ არჩუაძეს 19 მ. 77 კ. (ნივთები ბედის ქვევრისათვის 5 მ. 25 კ. ბაზრისათვის 11 მ. 10 კაპ., წვრილმანი: ფერადი ქაღალდი და სხვა 3 მ. 42 კ.), ს. სეგმანოვს 8 მ. 46 კ. (30 არშ. კალენკარი—3 მ, 60 კ., 36 არშ. კუმაჩი 4 მ. 62 კ., ქინძისთავები და ძაფი 24 კ.), ლატიშევის წარმოდგენილი ანგარიში 13 მ. 95 კ., მზარეულს 59 მ. 47 კ., კანდიტერს სერგო მესროპიანცს—24 მ. 60 კ., მუსიკას—56 მ. 50 კ. (20 მან. დასაკრავი, 2 მ. ჩაისთვის 1 მ. 60 კ. ვახშმისთვის; 32 მ. 90 კ. გზისთვის დუდუკს 6 მ. ლურსმები—1 მ. 75 კ., მეურმეს ტოტების ჩამოსატანი—1 მ. 60 კ. მართული ფარნების გასაბმელი—1 მ. ორ მუშას სამ დღეში 3 მ., არშაკუნს სანთლისა—3 მ. 88 კ., ბაღის მცველებს 2 მ. 20 კ. ორ პოლიციელს—1 მ., ხუთ პატარა ბიჭს—1 მ. 35 კ., მალაჩინს—რამკის დასაწერი—2 მ. 20 კ., მარკა ნება-რთვისთვის—60 კ. ბაირაღების ამოტან-ჩატანა ტფილისიდან—2 მ. 75 კ., სადარბაზო ბლანკები ლატარიის მარკებისთვის—1 მ., აფიშების და ანონსების გაკვრა—2 მ. 50 კ.; თოკი და კანაფი—1 მ. 75 კ.; შუშის ფარნების და ლამპების ქირა—1 მ. 30 კ. წვრილი ხარჯი, როგორც მაგალითად: დამტვრეულ და დაკარგულ ნივთების ფასი; ლამპის „სტეკები“ კიოსკების და ნივთების ჩატან-ამოტანა, ნავთი და სხვა—7 მ. 83 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 3 მ. 54 კ. ფულად და შემდეგი შემოწირული ნივთები: პატარა სასწორი; ერთი წყვილი ჩულქი; 6 ცალი პატარა სალფეთკი; ერთი ჟამშის რიდიკული; ერთი ფარჩის რიდიკული; ერთი წყვილი შავი ლაიკის ხელთათმანი: ერთი პაწია გრამაფონი „ენეს“ ფაბრიკისა; 7 ცალი კიოსკი და ერთი კარების რამკა. ფული და დარჩენილი შემოწირული ნივთები უკვე გადაეცა „წ. კ. საზოგადოებას,“ მხოლოდ კიოსკები და კარების რამკა გორის ქალაქის თავს ადგილობრივ ბაღის სასარგებლოდ.

გულითად მადლობას ვუძღვნი: კნეინა თეკლე აბაშიძეს, რომელთაც იკისრეს დიასახლისობა; ბ-ნ ბილიბინს უფასოდ სახელმწიფო ტყიდან ტოტების დათმობისათვის, ბ-ნ მ. ჯორჯაძეს—ცოცხალ ყვავილებიდან ლირის უფასოთ გაკეთებისათვის; ბ-ნ ხუციშვილს და ყველა იმათ, ვინც კი რაიმე საქმით ან შემოწირულებით დახმარება აღმოუჩინა სახალხო სეირნობას.

ადმინისტრატორი სახალხო სეირნობის ზაქარია ქიტიაშვილი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 16 აგვისტო. „წითელმა ჯვარ“-მა საკითხი აღძრა მოუსავლიანობისაგან დაზიანებულ მცხოვრებთათვის, შეძლების დაგვარად, დახმარების შესახებ. ეს დახმარება მოეწყობა წინანდელ სასაზრდოო ამხანაგობებსავით. რადგანაც „წითელ ჯვარ“-ს იმდენი შეძლება არ აქვს, რომ ყველა დამშეულ გუბერნიებს ეყოს მისი ფული, ამიტომ საჭიროა კერძო შემოწირულება.

კახეთის მეღვინეობის საქმე.

ძველის-ძველი და ყველასათვის ცნობილი ამბავია, რომ კახელების ცხოვრების უმთავრესი სახსარი არის მევენახეობა, მაგრამ ამ ძველის-ძველს და ცნობილ ამბავსაც სჭირდება გამეორება.

დიახ, მევენახეობა ადონდიადებდა კახელების ცხოვრებას, ავად თუ კარგად უძღვებოდნენ კახელები ცხოვრებას ჭირ-ვარამს ამ უკანასკნელ ორ წლამდის. ამ ორ წელიწადს-კი კახელებს წყარო ცხოვრებისა დაუხშოთ, მიზეზი ნაწარმოების-ღვინის გაუსაღებლობაა ისეთ ფასად, რომელიც ხელს მისცემდეს მევენახეობას.

1903 წლ. მოსავლის ერთი წილი გაიყიდა მცირე ფასებში და ერთი წილი გაუყიდავი დარჩა, თვით მოიხმარა ხალხმა. მაგრამ ვაი იმისთანა მოხმარებას! სუფრაზე ღვინის სიუხვემ დაბადა ხშირი სიმთვრალე, რასაც აზრდილად აჰყვნენ ათასი სხვა-და-სხვა დანაშაულობა. ამატომ სხვათა დანაშაულობათა შორის გახშირდა კაცისკვლა. 1904 წლ. მოსავალს უარესი დამართა: უფრო მეტი წილი მოსავლისა დარჩა გაუყიდავი და რაც გაიყიდა, ისიც უფრო დაბალ ფასში, ვიდრე 1903 წ. მოსავალი.

დიდი მნიშვნელობა აქვს კახელ მევენახეთა საზოგადოებას კახეთის მევენახეობისათვის: გარდა იმისა, რომ დიდ-ძალი მოსავალი უკვე გაუყიდულად ითვლება, რასაც თავის-თავად დიდი გავლენა აქვს ფასებზე, საზოგადოება თავის წევრების ღვინოს ყოველთვის მეტ ფასად იღებს, ვიდრე კერძოდ მსყიდველები იძლევიან; გარდა ამისა გიმეორებ, რომა ამ საზოგადოების ვაჭრობა [illegible], სხვებისგანაც ყიდულობს ღვინოს და აქაც ტოლად თუ ბევრად მეტ ფასს აძლევს. რასაკვირველია, მარტო კახელ მევენახეთა საზოგადოება არ არის ბაზრის ბატონი, მაგრამ ბატონებში ჩასათვლელი-კი არის. ასეთვე ბაზრის ბატონებში ჩასათვლელი იყო ბ-ნი სარაჯიშვილი, რაც ხანი იგი ყიდულობდა კახეთში ღვინოს. დიდი რამ არის მევენახესათვის დარწმუნება, რომ იმას არც საწყაოში და არც ანგარიშში არ მოატყუებენ. ამათ გაჩენას ეკონომიურ გავლენის გარდა ზნეობრივი გავლენაც ჰქონდა სხვა ვაჭართა სინდისიანობაზე. ამ უკანასკნელ დროს-კი მარტო კახელ მევენახეთა საზოგადოება დარჩა. ამან თავისი ღვინოც ვერ გაასაღა, სხვისას რაღას იყიდდა. ზედ ომიანობაც დაატყდა, კახურმა ღვინომ ომის ასპარეზისაკენ გზა ვერ გაიხსნა, ადგილობრივი ბაზარი, ომიანობისაგან დადარდული, შესუსტდა, ღვინის ხმარება გახშირდა არამც თუ დიდ ქალაქებში, სამაზრო ქალაქებშიაც: წარმოიდგინეთ, თელავში ღვინით მოვაჭრეები ტფილისიდან მოტანილ ლუდსაც ჰყიდიან და ღვინოზე ძვირად იყიდება; ამასთან შეჩვივნენ გაკეთებულ წყლების სმას; ესეც ღვინოზე ძვირად იყიდება; სოფლებშიაც თხოულობენ გაკეთებულ წყლებს, არც მეწლის ტკბილი, არც ლუდის რგვა არ იჭერს, მომეტებულად დედაკაცობას ამ „მოდასაკენ“. უეჭველია ამ ბორობამ წარსული წლის მოსავალზე მიიტანა მეტად ცუდი იერიში და არამც თუ ფასი გაკეთებულ წლებზე ძირს დასცა, არამედ ამ დაცემულ ფასადაც ვერ გაასაღა მოსავალი.

ამიტომ ბევრმა უსახსრობის გამო დროზე ვერ უწამლა, ზოგმა სულ არ უწამლა და ვენახები ბევრი გაფუჭდა, ბევრიც გაფუჭდება. თუ აქნობამდის კახელი ღვინის გაუყიდველობას ჩიოდა, ახლა ბევრი მოუსავლიანობისათვის დაიწყებს წუწუნს.

მომავალი მევენახეობას არ უღიმის.

შარშან და შარშანწინ ურჩევდით მევენახეებს მეორე ამხანაგობის დაარსებას, როგორც ერთად ერთ საშუალებას ღვინის გასაღებისას. ახლაც ამასვე ვურჩევ, ახლაც სოფელში გაბნეულ ინტელიგენციის ყურადღებას ვითხოვ ამ ერთად-ერთ უმთავრეს სახსარს ცხოვრებისას ანგარიში გაუწიონ, თორემ ორი სამი წელიც და ეს დარგი წარმოებისა დაიღუპება. ზოგნი პასუხად იმას მეუბნებიან, ძველი, გამოცდილი ამხანაგობაც ძლივს უძლებს და ახალი რაღას იზამსო.

ნადიკვრელი

შენიშვნები ქართული თეატრისა და სცენის შესახებ

მაყურებლები და დამფასებლები

მთავარი საგანი ყოველ გვარის ხელოვნებისა და განსაკუთრებით თეატრისა არის და იქნება ესტეტიკისა, გემოვნებისა და მხატვრულ გრძნობის განვითარება და გაძლიერება საზოგადოებაში, მეტადრე იმისთანა საზოგადოებაში, სადაც არც საერთო განათლება—განვითარება სდგას შესაფერ სიმაღლეზე და მით უფრო არცა მხატვრული და ხელოვნური მოთხოვნილებანი. ამ მხრივ შესანიშნავია თეატრის ზედგავლენა საზოგადოებაზე, მის მხატვრულსა და ხელოვნურს განვითარებაზე.

თეატრი ორ მძლავრ ნაწილისაგან შესდგება: ეს არის სცენა და მაყურებელთა დარბაზი, რომელნიც მუდამ განუწყვეტელის ურთიერთობის გავლენით სულდგმულობენ და სცხოვრობენ. მაშასადამე, რეპერტუარი, მსახიობნი და მაყურებელნი შეადგენენ იმ ძალ-ღონეს, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს სრულის და ჭეშმარიტის ხელოვნების იდეალი. განვითარებული და სრული თეატრი სწორი და უტყუარი მაჩვენებელია საზოგადოების მხატვრულის მოთხოვნილებისა.

მაყურებლებს მეტად დიდი გავლენა აქვთ მსახიობთა წარმოდგენაზე, მათს ხელოვნურს თამაშზე. მაყურებელთა და მსახიობთა შორის არსებობს რაღაც უხილავი კავშირი, რომლის მეოხებითაც ზედ-მოქმედება და გავლენა ურთიერთზე აუცილებელია, რამდენადაც მსახიობი მოქმედობს მაყურებლებზე და მათ გუნებაზე, იმდენადვე მაყურებლები მოწონებით თუ დაწუნებით, ანუ კიდევ ალტაცებით თუ სიჩუმით—უგულო ცქერით და სმენით მოქმედებენ მსახიობზე და მის გუნებაზე. მაყურებელს ადვილად შეუძლიან გაამხნევოს, გააცხოველოს მსახიობთა თამაში და პირიქითაც შეუძლიან სრულებით მოადუნოს მსახიობი, მოშალოს მისი აღფრთოვანება, დაჩრდილოს მისი წადილი და უნარი და გაანახევროს მსახიობის მიერ როლის გაპიროვნება და გრძნობათა განხორციელების გრადუსი.

მაყურებელი ხშირად ცალმხრივი და უმართებულოა ხოლმე, რადგან თავისდა უნებურად და მოუსაზრებლად ემორჩილება და ემონება პიესის ზოგიერთ ეფექტებს, კარგს სცენებს, მაღალ ფარდებიან სიტყვებს და ტკაცუნა მონოლოგებს. მაყურებელნი ხშირად უმაღლესს სიმპატიას უცხადებს იმ მსახიობთ, რომელნიც უმიზეზოდ დატანჯულ კაცის როლებს ასრულებენ, ბედისაგან ჩაგრულთ ან სათნო ქველმოქმედ გმირებს და სხვა ამგვარებს, ზოგჯერ ასეთს როლების ამსრულებელი მსახიობნი ძალზედ სუსტნი არიან და მათი ხელოვნებაც ფრიად საეჭვოა, მაგრამ ხალხს იგი მაინც მოსწონს, რადგან მსახიობის ხელოვნებისაგან ვერ არჩევს პიესის შინაარსს. ეგეც ხშირია, რომ კარგს ამსრულებელს არა სიმპატიურ როლებისას ხალხი არავითარ ყურადღებას არ აქცევს, უმეტეს მაყურებელთა დაფასების და კრიტიკის საწყაო მხოლოდ ერთია თანაგრძნობა გაპიროვნებულ ქველმოქმედ პირისადმი და სხვა არაფერი. ასეთი მაყურებელი ხელოვნებაში აფასებს ეფექტებს და მასვე ემონება; მას, რა თქმა უნდა, არ შეუძლიან არც კრიტიკა ნახულ გაგონილისა, არც ანალიზი თავის გრძნობათა...

ათას თავიან ბრბოში, რა თქმა უნდა, მუდამ მოიპოება განვითარებული მაყურებელი და მცოდნე დამფასებელი, მაგრამ სამწუხაროდ, ამ გვარი მეტად მცირეა ყველგან და ჩვენში განსაკუთრებით. მწერლობისა და ხელოვნების ნამდვილი მეგობრები და მოყვარულნი იმავე დროს ჭეშმარიტი დამფასებლებიც არიან მსახიობში. ჯერ შექსპირმა დაახასიათა საოცარის ზედმიწევნით მცოდნე და უვიცი მაყურებელი (იხ. „ჰამლეტი“ 3 მოქმედ. სურათი II): „გადამეტებულის თამაშობით, იქნება რეგვენი გააცინოთ, მაგრამ გაგებულს ადამიანს კი შეაწუხებთ და ერთის გაგებულის შეხედულება უნდა გერჩიოთ მთელის თეატრისას.“ ასე არიგებს ჰამლეტი მსახიობთ. და მართლაც, შეგნებული მაყურებლის აზრი ათას წილ უკეთესი და ძვირფასია მსახიობისათვის, ვიდრე ქება-დიდება თუ წუნი-ძაგება მრავალთა შეუგნებელთა.

ეჭვი არ არის მაყურებელთა შორის არიან მცოდნე და შეგნებულები და სწორედ ამათ შორის უნდა ირჩეოდნენ ის დამფასებელი რეცენზენტები და მკვლევარ-კრიტიკოსები რომელნიც თავიანთ შთაბეჭდილებას და შეხედულებას ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან აუწყებენ მკითხველებს.

სადაც ხელოვნებისადმი საზოგადოებისა და ხალხის ინტერესი გაცხოველებულია, იქ, უეჭველია, კრიტიკული მუშაობაც მალე უწყებს მოქმედებას. კრიტიკამ უნდა გამოარკვიოს შეეფერება თუ არა ხელოვნების ნამოქმედარ-ნაწარმოები იმ იდეას, რომელნიც თვით კრიტიკას აქვს გათვალისწინებული. კრიტიკა ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში მისთვის არის უფრო საჭირო, რომ, როცა ხელოვნება მარტო თავის ანაბარად და თავის ნებად არის დარჩენილი იგი შეიძლება ადვილად ასცდეს სწორ გზას და შეცდომების მორევში შეჰტოპოს, და ყოველ შემთხვევაში, იგი მეტის-მეტად ნელის ნაბიჯებით გაემართოს წარმატებისაკენ და ეს კულტურული წინსვლაც არა შეგნებული და გააზრიანებული, არამედ ინსტიქტიური იყოს...

აი სწორედ აქ იწყება კრიტიკის საქმე. კრიტიკა უნდა უჩვენებდეს ხელოვნებას, იდეალურ მოთხოვნილებას და იმავე დროს აღნუსხავდეს მის მეტ ნაკლებობას, ხოლო ყოველივე ამისათვის საჭიროა, რომ თვითონ კრიტიკა მცოდნე და განვითარებული იყოს, რათა ადვილად შესძლოს უმაღლეს მოთხოვნილებათა დასახვა; მაგრამ მარტო ეს როდი კმარა კრიტიკისათვის. იგი უნდა იყოს გულწმინდა, უხინჯო და მიუდგომელ-შეუსყიდველი. წინ-დახედული და მსწავლებელი კრიტიკა მოვალეა დასაბუთებულად ამცნოს მწერალთა და მსახიობთ, თუ როგორი უნდა იყოს პიესა, ანუ როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი როლი. მარტო იმის თქმა, რომ „ეს არ მომწონს“, „ეს არ ვარგოდა“, „ეს კარგი იყო, ის ცუდი“-ო... ეს კრიტიკა კი არა, მასხრობაა...

გერმანელთა ცნობილი და განთქმული ტრაგიკოსი მსახიობი ლიუდვიგ ბარნაი ეხლახან გამოსულ თავის მოგონებაში „სხვათა შორის, აი რასა სწერს სათეატრო კრიტიკაზე“: „ხშირად, ძრიელ ხშირად გამომიცდია პირადად ჩემს თავზე ბეჭდვითი გამოთქმული მსჯელობა ჯერ კიდევ არ მოღერებულ ჭაბუკთა, რომელნიც წარბ შეუხრელად მასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა როლის შეგნება და თამაში, თუ სად რა შეცდომა მომივიდა ხმის აწევ დაწევაში და მიხვრა-მოხვრაში და სხვა... ასეთი ბრძენი კრიტიკონი, ერთხელ მოსმენილ წარმოდგენის შემდეგ, თავის თავს ნებას აძლევს გაასამართლოს და მსჯავრი დასდოს მსახიობს როლის ვითომდა არა სწორ შეგნებისა და შესწავლისათვის, რომელზედაც მსახიობს მთელი თვეები მუშაობაში გაუტარებია. აკადემიურის რიხით და ფხიანობით აფრქვევს იგი თავისებურ სიბრძნის თვალ მარგალიტებს გაზეთის ფურცლებზე, თითქოს მას პირადად რჩევა და თათბირი ჰქონდეს შექსპირთან, შილერთან ანუ ლესინგთან.—და არა არას არავითარი ძალღონე, არავითარი

საშუალება გააქარწყლოთ ასეთის უმეცრების უდიერობა და პირახეული აბდაუბდაობა, რომელსაც, კრიტიკას და რეცენზიას უწოდებენ.—დიდად დამნაშავენი არიან კალმის ასეთი ხულიგანები, მაგრამ ერთი ორად უფრო იმ პრესსის ორგანოები არიან დამნაშავენი, რომელთაც კარები მუდამ ღია აქვთ გაღაღებული და თავმომწონე უვიცობისათვის“...

ასეთი კრიტიკოს რეცენზენტები გერმანიაში ყოფილა და მით უმეტესს ჩვენში იქნება.

ძველი მწიგნობარი

რუსეთის ქრონიკა

სტუდენტების საღამოს გამართვის უარყოფა. „კრიმ-კურ“-ი იუწყება, რომ ორ სტუდენტს, ტიხომიროვსა და სოკოლოვსკის უთხოვნიათ ტავრიდის გუბერნატორისათვის შარშანდელსავით სტუდენტთა საღამოს გამართვის ნებართვა ალუშტაში. მაგრამ პოლიციას უარი გამოუცხადებია და შეუთვლია: „შარშან ნება მოგეცათ იმიტომ, რომ სტუდენტები იყავით და სწავლობდით, ეხლა კი რადგან სწავლა შესწყვიტეთ, საღამოს გამართვის ნებას აღარ გაძლევთო“. („რ. ვ.“)

პროვინციის გაზეთების სააგენტო. სექტემბრის შუა რიცხვებში პეტერბურგში მოხდება პროვინციის გაზეთების რედაქტორ-გამომცემელთა თათბირი პროვინციისთვის განსაკუთრებულ დეპეშათა სააგენტოს დაარსების შესახებ. („რ. ვ.“)

ცენზორის მიერ აკრძალულ წერილების გამოსვლის ნებართვა. „ნ. ჟიზნ“-ი იუწყება, რომ ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს ნება დაურთავს, გამოვიდეს ცენზორის მიერ დაჭერილი ჟურნალ „რუსსკაია მისლ“-ის ივნისისა და ივლისის ნომრები, რომელშიაც რუსეთის შინაური მიმოხილვა და ლ. ტოლსტოის წერილია მოთავსებული.

არეულობის გამოძიება ადგილობრივ. სექტემბრის პირველ რიცხვებში გაიგზავნება პოლონეთში, ვოლგაზე და ციმბირში განსაკუთრებული კომისია, სამის სენატორის მეთაურობით, არეულობის შესახებ ადგილობრივ გამოძიების მოსახდენად (რ. ვ.).

ამნისტია გამოცხადებულ იქნება, „ვიდ.“ სიტყვით, 30 აგვისტოს. ამ დრომდი სავსებით გამოირკვევა საამნისტიო პირთა რაოდენობა და დანაშაულობა, რომელიც მხედველობაში იქნება მიღებული პატიების გამოცხადების დროს. დანაშაულობის სრულს პატიების გარდა შეუმცირდებათ სასჯელი ისეთ პირთ, რომელნიც ამ სასჯელს რაიმე მძიმე დანაშაულობისთვის უკვე ხდილობენ. ამ ჟამად ადგენენ იმ დანაშაულობათა სიას, რომელიც სრულებით უნდა ეპატიოთ დამნაშავეებს. ეს სიები დაურიგდებათ ადმინისტრაციების წარმომადგენლებთა და სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეებს. ისეთ პირთა შორის, რომელთაც ამინისტია უნდა მიენიჭოთ, ასახელებენ 600 ემიგრანტს. ამათ ნება მიეცემათ რუსეთში დაბრუნებისა და ცხოვრებისა.

წერილები

თელავი. თელავსა და ტფილისს შუა მოსიარულე დილიჟნები მკათათვის 20-დან ახალ პატრონის, ედიგარიანცის, ხელში გადავიდა. ედიგარიანცმა არსებულს ფასს, 4 მანეთს, მოუმატა 50 კაპ. აქ კითხვა საჭირო არც-კია, რად მოუმატა; მოუმატა იმიტომ, რომ კონკურენტი არავინა ჰყავს. ჩვენ, თელაველებს, იმედი გვქონდა, რომ უფრო დააიაფებდა, რადგან ჯერ ერთი—ქერი ძლიერ იაფია და მეორე—„ხასტავის“ ფულს თვეზედ მეტია აღარ აძლევინებენ, რის გამოც ბ-ნ ედიგარიანცს წელიწადში 1800 მანეთამდე რჩება. სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ დღეში თორმეტზე ნაკლები არ წავა თელავიდან, და ამაზედვე ნაკლები არ მოვა ტფილისიდან: მაშასადამე 50 კაპ. მომატებით იმას მოსდის წელიწადში 4320 მან. საკვირველია, თუ კი ძველი პატრონი—აბოვიანცი „ხასტავის“ ფულსაც იხდიდა, 10 კაპ. ნაკლებ გვახდევინებდა სულზე და ფულსაც იგებდა (უეჭველად იგებდა, თორემ, რომ არ მოეგო, მეორე დღესვე გაანებებდა თავს), ახალმა რაღად ინება უფრო შეღავათიან პირობებში ფასების წამატება? ინება იმიტომ, რომ კონკურენტი არა ჰყავს, როგორც ზევითა ვსთქვით. როდესაც ვკითხეთ კანტორაში—ეს რა ამბავია, 50 კაპ. რად მოუმატეთ მეთქი, მიპასუხეს—მთავრობის ნებართვით მოვუმატეთო, და მიმითითეს მთავრობისაგან მიცემულ დაბეჭდილ „ტაქსაზე“, რომელიც შუშის ქვეშ კედელზედ ეკიდა და სხვათა შორის, ეწერა: „თელავიდან ტფილისს წასვლა თუ მოსვლა დილიჟნით ღირს 4 მან. 50 კაპ. ეს კარგი, მაგრამ ეს ტაქსა არის მიცემული, ვიდრე „ხასტავის“ გადასახადს მოსპობდნენ და აბა ეხლა ვიკითხოთ იქნება იგივე მთავრობა დააკლებს, მეთქი, ფასებს? მერე ერთმა მგზავრთაგანმა მითხრა, განა ყველა პატრონი ერთიაო. მართლაც, რომ ერთი არ არის. ძველი პატრონი ცოტა მოგებით კმაყოფილდებოდა, ხოლო ახალმა მოისურვა მეტი; ისარგებლა ამ ტაქსით და წელიწადში 4,320 მან. დაგვადვა ხარჯად თელავსა და ტფილისს შუა მგზავრობისათვის, ისეც შევიწროებულთ სხვა და სხვა გარდასახადისაგან. ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ თელავის ახალ-გაზრდობა ამ საქმეს ვერ მოუვლიდეს; ან თვითონ უნდა შეადგინოს ამხანაგობა, და გახსნას თელავსა და ტფილისს შუა დილიჟნების მიმოსვლა, ან არა და მოიწვიოს სიღნაღიდან ის მალაკნები, რომლებიც დილიჟნებს ამუშავებენ სიღნაღსა და ტფილისს შუა და ახდევინებენ სულზედ 3 მანეთს. მანძილი თითქმის ერთი და იგივეა: სიღნაღიდან ტფილისამდე 100 ვერსია, თელავიდან კი 96. თუ ეს როგორმე მოახერხეს, მაშინ ბ-ნ ედიგარიანცს, თუ სურს განაგრძოს თავისი საქმე, კონკურენცია შეაფიქრიანებს და იკადრებს ფასების დაკლებას, წინააღმდეგს შემთხვევაში იმის დილიჟნით არავინ წავალთ; სიგიჟე იქნება, ამას 4 მ. 50 კ. მივცეთ, როდესაც სხვები ნაკლებად წაგვიყვანენ.

თელავის მამასახლისს ამ ზაფხულს წინადადება მისცა ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მასწავლებელმა ბ-ნმა პოკროვსკიმ: თუ სურვილი გაქვთ, გაგიხსნით ვაჟთა პროგიმნაზიას, რომელსაც მთავრობის პროგიმნაზიის უფლებები ექნებაო; ხოლო ქალაქმა ამისათვის 5000 მანეთი დახმარება აღმოუჩინოს ყოველ წლივ, თორმეტი წლის განმავლობაშიო. ეს წინადადება, როგორც გადმოგვცეს, მამასახლისმა ხმოსნებს უნდა მოახსენოს. მაგრამ ხმოსნებს ეს სიტყვა ისე ვერ დააინტერესებს, როგორადაც მეორე პურის დუქნის გახსნა და დარჩენილ მწარე ფქვილის გასაღება. ერთმა თავადმა გვითხრა, თუ ქალაქი პროგიმნაზიას არ გახსნის, ჩვენ მაინც მერმის აქ სრული გიმნაზია გვექნებაო. ჩვენ მზრუნველმა წინადადება მოგვცა: თუ გინდათ მთავრობისაგან ნაბოძები 20,000 მან. მე გადმომეცით და ორს გიმნაზიას გაგიხსნით—ერთს თელავში და ერთს გორშიო.

9 აგვისტოს, ბ-ნ ჩხიკვაძეს კონცერტი ჰქონდა დანიშნული კლუბის დარბაზში. 9 საათი იქნებოდა, დარბაზი სავსე იყო ხალხით; ის ის იყო უნდა დაეწყოთ, რომ მიმართეს ბ-ნ ჩხიკვაძეს ახალგაზრდებმა და სთხოვეს გრემში დახოცილთა სახელისათვის თქვენი კონცერტი გადადეთო. კონცერტი გადაიდო 12-სათვის. ეს კონცერტი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სასარგებლოდ იყო დანიშნული. **ალდოპაპია**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან

16 აგვისტო

პორტ-სმუტი, 16 აგვისტო. სამშაბათ დილის სხდომაზე რუსებისა და იაპონელების რწმუნებულნი შეთანხმდნენ ყველა პუნქტებში, ახლა დაწვრილებით განიხილავენ. იაპონელებმა მიიღეს ის პირობები, რომელნიც თვითონ ხელმწიფე იმპერატორმა დაადგინა და გარდაცა პრეზიდენტს. იაპონელებმა უარი სთქვეს ჩვენის ფლოტის განსაზღვრის მოთხოვნაზე, ჩვენის სამხედრო გემების გადაცემაზე და ყოველივე სამხედრო საზღაურზე, გარდა იმისა, რომ რუსეთი მათ გადაუხდის სამხედრო ტყვეებზე გაწეულ ხარჯს; მათ დაუბრუნეს რუსეთს სახალინის ჩრდილოეთის ნაწილი სიტყვა დასდეს, რომ ლაპერუზის სრუტე ღია ექნებათ და არ ააგებენ იქ სიმაგრეებს.

პორტ-სმუტი, 16 აგვისტო. რწმუნებულთა შეთანხმების შესახებ მოსულმა ცნობამ უჩვეულო მღელვარება გამოიწვია „ვენტროვ-ოტელ“-ში. ოფიციალური ბილიუტენი ტელეფონით გარდაცეს იქით. სხდომის ზალიდან არსენალიდან მოისმა მამაკაცების მხიარულების ხმები; იგინი ქუდებს ისროდნენ ზევით, ქალები სტიროდნენ. ამის შემდეგ ყველანი ტელეგრაფის სადგურებისკენ წავიდნენ. („ასსოსიეტედ-პრეს“-ი.).

პორტ-სმუტი, 15 აგვისტო. იაპონელებმა მიიღეს ვიტტეს მიერ წარდგენილი დაწერილი წინადადებანი. ორივე მხარის რწმუნებულთ მისწერეს თავიანთ მთავრობებს დაუყოვნებლივ ჩამოაგდეთ დროებითი ზავიო. ვიტტემ ძლივს იშოვნა გასავლელი გზა ხალხში და, გამოვიდა თუ არა კარებში, მას მიეგებნენ რუსეთის საელჩოს წევრნი და მაგრად ჩამოართვეს ხელი. ვიტტემ გასახარელი ამბავი გადასცა მათ; შემდეგ უთხრა კორესპონდენტებს: „არც ერთს კაპიკს კონტრიბუციას არ ვიხდით, სახალინის ნახევარს გვითმობენ—აი შეთანხმების დედა-აზრი“. თავის ოთახში ვიტტემ შემდეგი უთხრა „ასსოსიეტედ პრესს“-ის კორესპონდენტს: „ჩვენ დაგვრჩა სრული გამარჯვება. იაპონელებს ჩვენის საზღვაო ძალების განსაზღვრა უნდოდათ, სამხედრო ხარჯების გადახდას ითხოვდნენ და რკინის გზის დათმობას ხარბინის სამხრეთით. მე ყველაფერში უარი ვუთხარი, გარდა იმ გზისა, რომელიც უჭირავთ მათ ჯარებს ჩანტუფუს სამხრეთით. მათ უნდოდათ სახალინის დარჩენა, მე დავუთმე უკანასკნელ წუთში, თანახმად მოწერილობისა, მისი სამხრეთის ნახევარი, დღევანდელ დილის სხდომაზე წარვუდგინე ულტიმატუმი, რომელიც მიიღეს იაპონელებმა. განცვიფრებული ვარ, რადგანაც არ მოველოდი ასეთს დიდსა და ბედნიერს შედეგს“.

პეტერბურგი, 16 აგვისტო. დათხოვნილ იქნა სამსახურიდან გარშავის გენ.-გუბერნატორი მაქსიმოვიჩი მისივე თხოვნით და მისს ადგილას დაინიშნა გარშავის ჯარების უფროსის თანაშემწე გენ.-ადიუტ. სკალონი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხუთ მილიონზე მეტი ფული გადასდო დამშეულ გუბერნიების სასარგებლოთ.

ვინდავა. გაკრულია სამხედრო გუბერნატორის განცხადებანი შესახებ ომიანობის დროის წესებისა.

სტამბოლი, 16 აგვისტო. ხვალ რუსეთში მიმავალი საბერძნეთის მეფის შვილი ნიკოლოზი მეუღლითურთ სულთანს ინახულებს, რაც იმის მომასწავებელია, რომ საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის მდგომარეობა გაუმჯობესდა ცოტათი მაინც.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

16 აგვისტო

ტოკიო, 17 აგვისტო. იაპონიის პრესსა ერთიაზრივ პროტესტს აცხადებს სახალინის გაყოფის წინააღმდეგ. ზოგიერთი გაზეთი მოლაპარაკების შეწყვეტასაც-კი ითხოვს.

პორტ-სმუტი, 16 აგვისტო. ამბობენ, რომ დღეს, დილის სხდომაზე, კომურამ ახალი წინადადება წარუდგინა, რომელშიაც მოთავსებულია პირობები კონტრიბუციის გადახდის შესახებ რაიმე სახელით მაინცაო. ვიტტემ უპასუხა, შეუძლებელია და რუსეთი ერთს კაპიკსაც არ გადაიხდისო. კომურამ სთქვა, იაპონია მზად არის ჩამოაგდოს ზავი რუსეთის მიერ წარდგენილ პირობებითო. თანხმად ამისა იაპონია უარს ამბობს კონტრიბუციის შესახებ პუნქტებსა, საზღვაო ძალთა განსაზღვრასა და ნეიტრალურ პორტებში იარაღ-აყრილ გემთა დათმობაზე და თანახმაა, დაუთმოს სახალინის სამხრეთი ნაწილი. ვიტტე ძლიერ გაანცვიფრა საქმის ასე დატრიალებამ და იძულებული იყო დასთანხმებოდა. იაპონიამ სრულიად მოულოდნელად დათმოო. რუსებმა უნდა გადაიხადონ, წინასწარ ანგარიშით, არა უმეტეს 15—20 მილიონ გირვ. სტერლ. ტყვეების გამოკვებისთვის. ზავის შეკვრის ამბავმა ძლიერი სენსაცია გამოიწვია. ამბობენ, შეთანხმებაში ერთი რაღაც საიდუმლო მუხლიაო. როგორც ხმაბია, ზავის პირობებს არ გამოაქვეყნებენ, სანამ ორივე მხარე არ შეთანხმდება სრულიად. ზავის გამარჯვებას რუზველტს აწერენ. ნაშუადღევს რწმუნებულნი ხელ-ახლა შეიკრიბნენ დროებითი ზავზე მოსალაპარაკებლად.

ლონდონი. გაიაშის სიტყვით, იაპონიის მისიას არ მოსვლია ჯერ ოფიციალური ცნობა ზავის ჩამოგდებაზე, მას მხოლოდ კერძო დეპეშა გამოუგზავნა ერთმა ბანკირმა; გაიაში დარწმუნებულია, რომ ზავი ჩამოვარდნილია და დიდად უხარიან, როგორც ადამიანს, მაგრამ არა როგორც დიპლომატს და პოლიტიკოსს.

პეტერბურგი. თანახმად გუბერნატორების მიერ წარმოდგენილ მოხსენებისა მოუსავლობა ამჟამად შემდეგ გუბერნიებშია: ვორონეჟისა, ვლადიმირისა, ტვერისა, სამარისა, ტამბოვისა, ტულისა და რიაზანისაში და რამოდენიმე ორიოლისა და ხერსონის გუბერნიებშიაც. ამასთანავე არ არის დიდი სრული მოსავალი არხანგელისა, ვიტებსკისა, გროდნოსა, ვიატკისა, ყაზანისა, ნიჟეგოროდისა, პსკოვისა და პეტერბურგის გუბერნიებში. მთავრობის მიერ გადადებულ ფულით ხორბალი უნდა შეიძინონ საგლეხო დაწესებულებათა განკარგულებით. ამ ჟამად ყველა დამშეულ გუბერნიაში დასრულდა პურის მოზიდვა და დაზარალებულთა იგის დარიგება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი

განცხადებანი

Ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო საქმეებს. საქმეებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, ოქროევისა. (30—29)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (ჯ.)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“ გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი .	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში—	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა—	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი . . .	10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კედლებად მოსართავი სურათები: შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ **სოსიკო მერკვილაძე.** (20—20)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების

ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას.

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად გაჭრობას აწარმოებს საგაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

ულუხანლუ-ჯულფის რკინის გზის

მკეთებელი მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ სამგზავრო და საქონლის მატარებლების დროებითი მიმოსვლა ულუხანლუსა და ნახიჩევანს შორის 20 ამა აგვისტოს დაიწყება.

ულუხანლუდან ნახიჩევანამდე მატარებლები გავლენ **სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით;** ხოლო ნახიჩევანიდან ულუხანლუს გავლენ **კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.**

პირველი სამგზავრო-სასაქონლო მატარებელი ულუხანლუდან ნახიჩევანს გავა 20 აგვისტოს; ხოლო ამგვარივე პირველი მატარებელი ნახიჩევნიდან ულუხანლუს გავა 21 აგვისტოს.

მატარებლების მიმოსვლა ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—2)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო სავაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებისა.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანეთი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. ვ. ხაათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

* * *

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.

(14—10) **ალ. ვ. ხაათაშვილი.**

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. ტ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—24)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული გელბორდტ ლოკში

გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისკოის) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—2ც)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა სურს, მიმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—19)

მამა დავითის გორაზე

ფუნიკულერის სადგურის მახლობლად გაიხსნა

ბუფეტი

„განდეგილი“

გურიიდან მოწვეულია თავისუფალი მემუსიკეთა დასი. სასმელ-საჭმელი მზადდება ევროპიული და ქართული. ყველა გემოვნების საჭმელია, გურული ხარჩო და ღომი ფას დაკლებით. ყველაფერი ხელ-მისაწდომად. სადილი 1-ლ საათიდან. მუზიკა დაიწყებს დაკვრას 1-ელ საათიდან. სადილი ორი ბლუდი ათი შაური. ან ყავით და ან ჭიქა არყით სამი ბლუდი თხუთმეტი შაური (75 კ.), ოთხი ბლუდი 1 მან. ჭიქა არაყი და ჭიქა ღვინითა. მსურველს შეუძლია მუსიკა მიიწვიოს ყოველსავე შეკვეთილში.

(3—309—3) პატივისცემით დ. ხუნდაძე.

Доз. ценз. Тифлисъ, 17 Августа 1905 г.

ПЕЧ. ГРУЗ. ИЗД. Т—ВА. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა